ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 2015 №289 (6909) ფასი: 50 თეთრი

ჩელსი-პორტუ — მოურინიო ყოფილი კლუბის წინააღმდეგ

გვ.9

სტატისტიკა, ფსონები

ლევერკუზენი-ბარსელონა	3.8	3.5	1.95
რომა-ბატე	1.3	5.0	11.0
ოლიმპიაკოსი-არსენალი	3.4	3.5	2.1
დინამო(ზ)-ბაიერნი	11.0	5.0	1.3
ჩელსი-პორტუ	2.0	3.1	4.2
დინამო(კ)-მაკაბი	1.17	7.0	17.0
გენტი-ზენიტი	2.3	3.2	3.2
ვალენსია-ლიონი	1.44	4.5	7.0

ალეკო ელისაშვილი პროკურატურაში დაიბარეს

გვ.5

„მაღალჩინოსნები ცდილობდნენ ჩემზე ზეწოლას, რათა კონკრეტული პატიმრები გაგვეთავისუფლებინა“

გვ.5

უსუფაშვილი: „კოალიცია არჩევნებისთვის ივანიშვილის გარეშე მოემზადება“

„ბოკერიას გუნდს ნაცმოძრაობიდან მოკვეთენ“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „ნარჩენები არჩევნებს ვერ იგებენ“

„გიოჩგი ვაშაძემ გივი თარგამაძეს შარშან ხელი დააჭყა"

ლევან მურუსიძე: „ჩემი ლანძღვით სასამართლო სისტემას ურტყამენ“

გვ.4

„მე არ ვიბრძვი ჩემი სკამის გამო. ჩემს სინდისთან მართალი ვარ და ამაზე ვაგებ პასუხს“

სააკაშვილს ნაციონალების საპატიო თავმჯდომარეობა უნდა

გვ.3

მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობისა და ალასანიას პარტიის გაერთიანებას სააკაშვილის სახელი ხელს უშლის“

სოსო ჯაჭვლიანი: „რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი არ უნდა თქვა“

გვ.4

მიხეილ დონდუა: „ასეთი ინფლაცია ქადაგიძის ბრალია“

გვ.6

გვ.2

ნარმანიას ხეები ძროხებმა შეუჭამეს

თეონა ჭალიძე: „ბევრგან ნერგები დარგვამდე გაუხმათ“

ISSN 1987-9385

„ბოკერიას გუნდს ნაცმოძრაობიდან მოკვეთენ“

ლადო სადღობელაშვილი: „ნარჩენები არჩევნებს ვერ იგებენ“

შორენა მარსაგიშვილი

ჰა ჰოცესები მიმდინარეობს ნაცმოძრაობაში, ვის დარჩება მიხეილ სააკაშვილი, ვინ გადაბიჰა „თავისუფალი ზონის“ წევრები? – ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

„მიშა მაჭავარიანი და გიგი წერეთელი მშვიდობის მტრედები არიან“

ლადო სადღობელაშვილი:

– ერთ წელზე მეტია ვამტკიცებ, რომ ნაციონალები მარტივ მამრავლებად იშლებიან და არავინ მიჯერებდა. არადა, სარწმუნო წყაროებიდან მქონდა ინფორმაცია, რა ამბები ტრიალებდა მათ რიგებში.

პირველი სერიოზული დაპირისპირება მათ შორის გასული წლის 15 ნოემბერს მოხდა. იმ დღეს მათ თბილისში აქცია მოაწყვეს. აქციის დასრულების შემდეგ ისინი პარტიის ოფისში შეიკრიბნენ და საქმეები გაარჩიეს. ერთმანეთს ძველი და ახალი თაობის ნაციონალები დაუპირისპირდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გიორგი ვაშაძემ გივი თარგამაძეს ხელი გაარტყა.

ამ ორ გუნდს შორის დაპირისპირება ამ გაზაფხულზეც მოხდა, მათ მარტის თვეშიც გამართეს რაღაცა აქცია. სიმართლე გითხრათ, თავიდან არ ვიცოდი, რომ მათ წიაღში მესამე დაჯგუფებაც არსებობდა და ის მერაბიშვილის გუნდად ითვლება. საუბარია დღევანდელ „გირჩებზე“. ისინი პარტიიდან წამოვიდნენ და ახლა ისევ მათ შორის არის ცემა-ტყეპა ატეხილი.

– რას ვერ იყოფენ?

– რას – არა, ვის. მიხეილ სააკაშვილის გარეშე ისინი არაფერს წარმოადგენენ და მის დათრევას ცდილობენ. ბოლო ხანებში მედიაში ნაციონალების 2 საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნდა. საიდანაც ჩანს, რომ ძველი თაობის ხალხი უფრო ელოლიავება სააკაშვილს, ვიდრე ახლები. ახლებში მელია-ვაშაძის დაჯგუფებას ვგულისხმობ.

არჩევნებზე ნაციონალები ერთიანი სიით ვერ წარდგებიან. ეს ძველები ანუ ბოკერია-თარგამაძე-გაბაშვილის კანტორა ვაშაძის ახალგაზრდულ ფრთას უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებს და კომსომოლებად აღიქვამს. თავად ვაშაძეს სულაც ჭიათურელ კარიერისტს ეძახიან.

– ასე ძალიან თუ ვერ იტანენ ერთმანეთს, რატომ არ ტოვებს რომელიმე დაჯგუფება ნაცმოძრაობას?

– ძალიან მალე მელია-ვაშაძის გუნდი ოფიციალურად გაემიჯნება ძველებს. ნიკა მელია უკვე ახალ ოფისში გადასახლდა და ძველ ოფისში აღარც დადის. ამ ახალ ოფისში მან შეიფარა არა მარტო ვაშაძის ახალგაზრდული ფრთა, არამედ „თავისუფალი ზონის“ ნაწილიც.

– „ზონაშიც“ განხეთქილებაა?

– რა თქმა უნდა. მათი ნაწილი გაგირჩდა. „თავისუფალი ზონაც“ დაშლილია. ნაციონალებიდან გამოყოფაზე რადგან ვსაუბრობთ, არც ნიკა რურუასა და მეორე ვაშაძის გუნდი უნდა დაგვავიწყდეს. ისინი „გირჩებზე“ ადრე წავიდნენ პარტიიდან და საერთოდ სხვა თამაშს თამაშობენ.

– სხვა თამაშში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ისინი არჩევნებში, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანიასთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას.

– თავისუფალმა დემოკრატებმა თქვეს, არჩევნებში დამოუკიდებლად ვიყრით კენჭსო.

– ამაზე მერე ვისაუბროთ, როდესაც კოალიციების შექმნა დასრულდება. 2016 წლის არჩევნები ნაციონალურ მოძრაობას ოფიციალურად დასრულებს. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მათ 20% მოიპოვეს. ახლა იმაზე ოცნებობენ, რომ ტივტივი შეძლონ.

– ტივტივი რას ნიშნავს?

– საარჩევნო ბარიერის გადალახვას. ტივტივის იმედი აქვთ „გირჩებსაც“. ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, სანამ ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოვა, უნდა ვიტივტივოთო. ეს ინფორმაცია სანდოა, რადგან მათი ოფისიდან მომიტანეს ეს ამბავი. ნაციონალებს კი, შესაძლოა, ტივტივიც სანატრელი გაუხდეთ. 2 ძირითადი ჯგუფი ხომ დაგისახელეთ, მაგრამ იქ სხვა დაჯგუფებებიც არის. მაგალითად, მშვიდობის მტრედების დაჯგუფება.

– მშვიდობის მტრედები ვინლა არიან?

– მიშა მაჭავარიანი და გიგი წერეთელი. ისინი ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები იყვნენ. შემდეგ უღალატეს მის პრინციპებს და დარჩნენ მკვლელ ნაცმოძრაობაში. მაჭავარიანი და წერეთელი ნაციონალებს მორიგებისკენ მოუწოდებენ. მათი თქმით, ახლა დაპირისპირების დრო არ არის.

მისი აზრების გამო, შესაძლოა, მიშა მაჭავარიანი არ მოგწონდეს, მაგრამ გამოცდილება რომ აქვს, ამას ვერავინ დაუკარგავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს კაცი 5 მოწვევის პარლამენტის წევრია და ერთხელ მინისტრიც კი იყო. მოკლედ, გამოცდილი პოლიტიკოსია და კარგად ხვდება, რომ ნაციონალებს არაერთსულოვნება ამომრჩეველს აკარგვინებს.

უკვე დროა, ნაციონალებმა თავი დაანებონ იმაზე საუბარს, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ. შეიგნონ ისიც, რომ ისინი არა ნაცმოძრაობა, არამედ ამ პარტიის ნარჩენები არიან. ნარჩენები კი არჩევნებს ვერ იგებენ.

– ვის დარჩება ნაციონალური მოძრაობა, ძველ თაობას თუ ახალს?

– ამ დაპირისპირებაში ყველაზე მეტად ბოკერია და მისი ჯგუფი „იტისკებიან“. ძველ და გამარგინებულებს, ალბათ, მოიშორებენ პარტიიდან, ხოლო პარტიაში სახეებად ვაშაძე და მელია მოგვევლინებიან.

– ძველ ნაციონალებს გაყრიანო და რა ბედი ელის ბაქრაძეს? ძალიან ძველი არ არის, მაგრამ, მელია-ვაშაძესთან შედარებით, მაინც უფრო სტაჟიანი ნაციონალია.

– არა მგონია, რომ დავით ბაქრაძე გაუშვან. ნაციონალის სისუფთავე ვის გაუგია, მაგრამ ის შედარებით სუფთა წარსულისაა. ის სჭირდებათ და არსად გაუშვებენ. ახალგაზრდებთან დარჩება სერგო რატიანიც. ის ძველები მართლა გასაყრელები არიან. მათ თავიანთი დრო უკვე მოჭამეს. განა რამდენი წელი შეიძლება, ადამიანმა ბოკერიას უყუროს.

– იმათ, შესაძლოა, უნდათ ბოკერიას მოშორება, მაგრამ ბოკერია შეეგუება ამას? ის საკმაოდ ჭკვიანია და არა მგონია, ასე იოლად დააჩაგვრინოს ვინმეს თავი.

– მე ვერ დაგეთანხმებით, რომ ის ჭკვიანი ადამიანია. ჭკვიან ადამიანებს მის მიერვე დაფუძნებულ პარტიაში ასე არ ექცევიან. ქვეყნის გარეთ მას ძალიან კარგი კონტაქტები გააჩნია და, თუ რამე ახალი ძალა შექმნა, ფინანსების მოძიება არ გაუჭირდება.

– რა დაჯგუფება უნდა შექმნას ბოკერიამ?

– ლიბერასტების დაჯგუფებას შექმნის, სადაც თავის ცოლსაც შეიყვანს.

– აკაკი ბობოხიძე რას იზამს?

– ის ძალიან ძველი ნაციონალია და მისი ადგილი ძველებთან არის. მე მას ბოკერიას დაჯგუფებაში მოვიაზრებ. ბოკერიას გვერდით ვხედავ ჩიორა თაქთაქიშვილისაც.

„გიორგი ვაშაძემ გივი თარგამაძეს შარშან ხელი დაარტყა“

– აკო მინაშვილს რა ბედი ელოდება? ის, ბაქრაძისა არ იყოს, თან ძველია, თან ახალი.

– აკო მინაშვილი „კმარაშია“ აღმოცენებული. ის არც ძველებთან არის და არც – ახლებთან. ის უფრო ახალაიას დაჯგუფებასთან მოიაზრება. ეს დაჯგუფება ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, თუ საით წავა.

– ნუგზარ წიკლაურის ადგილს რომელ ფრონტზე ხედავთ?

– ეგ ე.წ. ზვიადისტების ფრთაა. რატომღაც გადაწყვიტა, რომ ნაციონალები ეროვნული მოძრაობის საქმის გამგრძელებლები იყვნენ. მგონია, რომ ახალგაზრდებში მოხვდება. იმ დღეს ის და გიორგი ვაშაძე ვნახე რესტორანში, ტკბილად საუბრობდნენ.

– მშვიდობის მტრედებზე რაღას იტყვით, საით გაფრინდებიან?

– ეგენი საერთოდ უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან. მეფის ტახტზე ხომ არ სხედან, ასე რომ გადაეცეთ წარამარა. წერეთელი და მაჭავარიანი უნდა წავიდნენ და თან ხათუნა გოგორიშვილიც უნდა გაიყოლონ. მაგ პარტიაში რეალურად საქმის გამკეთებლები ეგენი არიან. მართალია, თავიანთი დრო მოჭამეს, მაგრამ მათ სააკაშვილი ვერ შეელევა.

– რატომ ვერ შეელევა?

– იმიტომ, რომ პარლამენტში საქმის გამკეთებლები სჭირდება. ახლა საკითხავი ისაა, მოხვდებიან თუ არა ეგენი პარლამენტში. ისინი აღარ ითვლებიან მთავარ პოლიტიკურ ძალად. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებმაც არაერთი მინიშნება გააკეთეს. მეც შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ საქართველოში №1 ოპოზიციური ძალა პატრიოტთა ალიანსი იქნება.

– ვითომ?

– ვითომ კი არა, ასეა. ამაზე უკვე ღიად საუბრობენ სახელისუფლებო სტრუქტურებში. ალიანსმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ მათ აქვთ უნარი, იყვნენ პირველი ოპოზიციური პარტია. თუ მართლა სერიოზული გეგმები აქვთ, ალიანსის გაძლიერება უნდა დაიწყონ.

– რა კუთხით უნდა დაიწყონ გაძლიერება?

– პარტიას ფეისები არ ჰყავს და ამაზე უნდა იზრუნონ, თორემ ხალხის მხარდაჭერა არ აკლიათ. ახლა უნდა მოიძიონ პროფესიონალი და პატიოსანი ადამიანები. დამიჯერეთ, ეგენი მიაყრიან ნაციონალების პოლიტიკურ სამარეს მიწას. ამ საქმეში, ალბათ, ნინო ბურჯანაძის პარტიაც დაეხმარება. ნაციონალებზე მეტი შანსები აქვს მას პარლამენტში მოხვედრაზე.

– თქვენ ნაციონალები ძალიან უშანსოდ დატოვეთ და ვითომ ეგრე მძიმედ აქვთ საქმე?

– უმძიმესად. ჯერ ისიც არ ვიცით, რამდენ მამრავლებად დაიშლებიან. პარლამენტში გავა ის ფრთა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი დაუჭერს მხარს.

– სააკაშვილის ფაქტორი რა გავლენას იქონიებს?

– გასწიე-გამოსწიე, ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 10%-ს მიიღებენ.

– მათ რიგებში ვინმე საინტერესო ადამიანი რომ გაწევრიანდეს, მაშინ რა მოხდება?

– ახლებს, ალბათ, მიიყვანენ, მაგრამ ისინი არ იქნებიან ფეისები. ამ პარტიას არცერთი ნორმალური ადამიანი არ გაეკარება.

ნარმანიას ხეები ძროხებმა შეუჭამეს

თეონა ჭალიძე: „ბევრგან ნერგები დარგვამდე გაუხმათ“

შორენა მარსაგიშვილი

ალბათ, ყველას ახსოვს დავით ნარმანიას შარშანდელი დაპირება, მერად თუ ამირჩევთ, თბილისში 1 მილიონ ხეს დავრგავო. ხეების რა გითხრათ, მაგრამ თბილისის გზებზე მისი მერობის ხანაში მრავლად გაჩნდა ორმოები, რასაც თბილისელებმა „ნარმანკები“ შეარქვეს.

გუშინ, 8 დეკემბერს, ქალაქის თავი გამოვიდა და ზარ-ზეიმით განაცხადა, თბილისში 480.000 ხე დავრგეო.

თბილისის მერის საქმიანობა მკაცრ კონტროლზე ჰყავს აყვანილი მონიტორინგის ცენტრ „მედიატორს“. მათი შიშით მერიის თანამშრომლებს თავისუფლად კოკა-კოლაც ვერ დაულევიათ.

„მედიატორის“ წევრები ხეების დარგვის საქმეშიც კარგად არიან ჩახედული და აცხადებენ, რომ ქალაქის თავი იტყუება.

– ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ 1 მილიონი ხის დარგვა რეალურია და ეს პუნქტი გავლილია მეცნიერებთან შესაბამისი გაანგარიშებით. მაინტერესებს, რომელ მეცნიერებზეა საუბარი, როცა გარემოს დაცვის სამინისტროს კომპეტენტურ თანამშრომლებთანაც კი არ გაუვლიათ კონსულტაცია. არსად არ არის გაწერილი და გაცხადებული, მილიონი ნერგი საიდან მოაქვთ, რა თანხები იხარჯება ან დაიხარჯება ამ მილიონი ნერგის შესყიდვაზე, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი თეონა ჭალიძე.

ასევე არსად არის გაწერილი, რამდენი კვადრატულია საჭირო ამ ნერგების დასარგავად.

– არც ის იცის ვინმემ, რამდენი ლიტრი წყალია საჭირო მილიონი ხის მოსარწყავად და გასახარებლად, ან ვინ რწყავს ამ ხეებს საერთოდ და რა ინტენსივობით, ან რამდენი მუშახელია საჭირო ამ ყველაფრისთვის. თუ ამ კითხვებს გავიაზრებთ, მივხვდებით, რომ მილიონი ხის დაპირება ზღაპარია, – ამბობს ჭალიძე.

მას არც 480.000 დარგული ხის ამბავი სჯერა და ამბობს, რომ ბევრ ადგილას ხეები რამდენჯერმე დარგეს.

– არაერთხელ წავაწყდით ისეთ სცენებს, რომ გლდანში ძროხები მირთმევდნენ ახლადდარგულ ხეებს. ასევე არის ადგილები, სადაც რამდენჯერმე დაირგო ხეები, მაგალითად, ვაზისუბანში, საბაგიროსთან.

იქ წინა ხელისუფლების დროსაც დაირგო ხეები და ახლაც. მთავარი კი ისაა, რომ სათანადო ყურადღება აღარ მიექცა ამ ნერგებს და ვერ გაიხარა. დარგული ნერგები თუ გახმა, ეს წყალში გადაყრილი ფულია. კამერების წინ პოზიორობით არ უნდა მთავრდებოდეს გამწვანების აქციები, – აღნიშნავს „მედიატორის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

მისი განმარტებით, ნარმანია ხეების დარგვით თავს არ უნდა იწონებდეს, რადგან მისი მერობის ჟამს ხეები რამდენიმე ადგილზე გაიჩეხა.

თეონა ჭალიძე:

– დარგვის ნაცვლად არაერთ ადგილზე მრავალწლიანი ნარგავები მოიჭრა. ასეთია, მაგალითად, დენდროლოგიური პარკი, იპოდრომი, ჭავჭავაძის გამზირი და სხვა. დენდროლოგიურ პარკში საერთოდ გაუხმათ უკვე შეძენილი ნერგები დარგვამდე. სავარაუდოდ, მაგ ფაქტს გადაჰყვა მერიის გამწვანების სამსახურის უფროს ბიძინა გიორგობიან თანამდებობაც.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სააკაშვილს ნაციონალების საპატიო თავმჯდომარეობა უნდა

მარიამ მჭედლიშვილი

მას შემდეგ, ჰაც ოდესის გუბერნატორ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა, იგი იერარქიულად ერთიან ნაციონალურ მოძრაობასაც ჩამოსცილდა, ვინაიდან, კანონმდებლობით, სხვა ქვეყნის მოქალაქე ვერ იქნება საქართველოში რეგისტრირებული პარტიის ერთ მერტო თავმჯდომარე, ერთმანეთ ნევრიც.

ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი და ყოფილი თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილმა მოიფიქრა ხერხი, რომლის დახმარებითაც მას ქართულ პოლიტიკაში დარჩენა უნდა. ესაა პარტიის საპატიო თავმჯდომარეობა. პარტიაში მოქმედებას გააგრძელებს პოლიტიკური საბჭოც, რომელსაც დიდი უფლებები არ ექნება.

– ნაციონალური მოძრაობა გეგმავს ყრილობის ჩატარებას, რომელზეც არ აირჩევენ ახალ თავმჯდომარეს. სამაგიეროდ, პარტიის წესდებაში ცვლილებების გზით უნდათ სააკაშვილის საპატიო თავმჯდომარედ დამტკიცება, – განუცხადა „ახალ თაობას“ მირიან მირიანაშვილმა.

მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობისა და ალასანიას პარტიის გაერთიანებას სააკაშვილის სახელი ხელს უშლის“

– საპატიო თავმჯდომარეობა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას?

– პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი ასეთ რამეს არ ცნობს. მიხეილ სააკაშვილმა დაავალა იურისტების ჯგუფს, მოამზადონ დასკვნა, რომლის თანახმად, საპატიო თავმჯდომარის სტატუსი თავსებადობაში მოვა კანონთან.

– ნაცმოძრაობაში არსებული დაპირისპირებების ფონზე, სააკაშვილის საპატიო თავმჯდომარეობა ყველას არ უნდა უნდოდეს.

– ეს მართლაც ასეა. თანაც, ეს გარემოება ხელისშემშლელი ფაქტორია საარჩევნო ბლოკის შექმნისთვის.

– ნაციონალებს ბლოკის შექმნა უნდათ?

– არსებობს გეგმა – ნაციონალური მოძრაობა საარჩევნოდ უნდა გაერთიანდეს ალასანიას თავისუფალ დემოკრატებთან. ადრე, როცა ამაზე საუბარი დაიწყო, ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ ეს სასურველი იქნებოდა სააკაშვილის გარეშე. მისი გათვლით, ამგვარად ბლოკზე ნაკლები დარტყმა იქნებოდა. ახლა გაჩნდა შანსი, რომ შეიქმნას ბლოკი უსააკაშვილოდ. ბუნებრივია, ამ გაერთიანების ინიციატორებს არ აძლევთ ხელს სააკაშვილის ახალი სტატუსი.

– წესით, სააკაშვილი უკრაინის ამბებით უნდა იყოს დაკავებული..

– სააკაშვილს უკრაინაშიც შავი დღეები დაუდგა. მან და მისმა გუნდელებმა წააგეს ოდესის მერის არჩევნები. საერთოდ, ოდესის გუბერნატორობა სააკაშვილისათვის დროებითი ადგილი და სასტარტო მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. პოროშენკო-სააკაშვილი მსხვილი ოლიგარქიული დაჯგუფების წევრები არიან. ადრე ამ დაჯგუფებაში კოლომოისკიც შედიოდა.

პოროშენკოსა და სააკაშვილს განზრახული ჰქონდათ სააკაშვილის პრემიერობა უკრაინაში. ოდესაში არჩევნების წაგების შემდეგ სააკაშვილი იმდენად გაცეცხლებულია, რომ დაბმელი გახდა. ამის გამო მას აქაური ნაციონალები ნორმალურად ვეღარ ეკონტაქტებიან. თუმცა, მასთან ოდესაში ჩასვლა მაინც გადაწყვეტილი აქვთ. უნდათ, როგორმე უარი ათქმევინონ ნაცმოძრაობის საპატიო თავმჯდომარეობაზე.

– გამოდის, რომ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა საეჭვო გახდა?

– სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს საფრთხე შეექმნა საქართველოშიც და უკრაინაშიც. მსოფლიო ყურადღების ფოკუსში ახლა სირიაა მოქცეული. უკრაინას აღარ ექცევა ყურადღება. ამ სიტუაციაში სააკაშვილს პოლიტიკურად მარტო ის თუ გადაარჩენს, რომ ის სირიის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთის ხელმძღვანელი გახდეს. სხვა შემთხვევაში, ის პოლიტიკური გვამია.

ნაცმოძრაობაში იმაზეც ლაპარაკობენ, რომ სააკაშვილს პროვოკაციებიც კი აღარ შეუძლია. პროვოკაციები ნაციონალებს ჰაერივით სჭირდებათ. მათ ისევ უნდათ, საქართველოს ხელისუფლებას მიაკერონ პუტინის ვასალის იარლიყი და ამით მიიზიდონ დასავლეთის ყურადღება.

– ზოგიერთი მომხრისთვის მტკივნეულია სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა.

– დიახ. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ჭიანურდებოდა. მე და ჩემმა მომხრეებმა მედიის, უკრაინელი კოლეგების დახმარებით ამისთვის ვიბრძოლეთ. ბოლოს ამ საქმეში გადამწყვეტი აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევა და კანონი აღსრულდა.

ნანა დევდარიანი: „ოცნების“ საქმე ცუდადაა, ნაციონალების – უარესად“

ნონა ცაბაძე

გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი მიესალმება პოლიტიკურ სარბიელზე ახალი ფიგურების გამოჩენას, ვინაიდან ეს ხელს უწყობს პოლიტიკური კონკურენციის გაძლიერებას.

– ჯანსაღი პოლიტიკური ელიტა ყალიბდება სწორედ კონკურენციის პირობებში, – აცხადებს ნანა დევდარიანი „ახალ თაობასთან“ საუბარში.

– ბევრს აეჭვებს კიევის ყოფილი მერის გააქტიურება და საქართველოში პოლიტიკური საქმიანობის დაწყება. თვლიან, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურადაა შექმნილი. თქვენ რას ფიქრობთ?

– ადამიანს თვითონ თუ არ უნდა, იძულებით ვერავინ გადაადგმევინებს ასეთ ნაბიჯს. რა არის გასაკვირი იმაში, რომ ჩერნოვეცკი უკრაინაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ იძულებით წამოვიდა და აქ ეწევა ქველმოქმედებას. იგი პოლიტიკაში ნამყოფია და კიდევ რომ ჰქონდეს ამის სურვილი, ამაში უცნაური არაფერია.

– სხვა ქვეყანაში?

– რატომაც არა. აგერ ამის მაგალითი აქვს ცხვირწინ. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსად მუშაობს. ფიქრობს, ალბათ, იმისთვის თუ შეიძლება, მაგას რატომ არ შეუძლია, აქ ჩაერთოს პოლიტიკაში.

– ამ ფონზე რა შანსები აქვს „ოცნებას“? უკვე აქტიურად საუბრობენ ივანიშვილის პოლიტიკაში მობრუნებაზე. სხვაგვარად ვერ გადაირჩენენ თავს?

– სწორედ თქვენს გაზეთთან ინტერვიუში მაქვს ნათქვამი რამდენიმე თვის წინ, რომ ის ისევ იძულებული იქნება, სათავეში ჩაუდგეს „ქართულ ოცნებას“, იმიტომ, რომ ამ ლოკომოტივის გარეშე, ამ შემადგენლობით, „ქართული ოცნება“ ხმებს ვერ მოიპოვებს! ის გრძნობს, რომ იძულებული ხდება, გადადგას ეს ნაბიჯი. სხვანაირად წარმატება წარმოუდგენელია! ისევ ბიძინა ივანიშვილის ნდობისა და რესურსის ხარჯზე თუ მოიგებს „ქართული ოცნება“.

– მოიგებს კი?

– ამისთვის რომ ყველაფერს გააკეთებს, ამის დასტური იყო საგარეჯოს შუალედური არჩევნები. აქ არის კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მომენტი...

– რას გულისხმობთ?

– ერთია, როდესაც შენ გყავს ერთი პოლიტიკური ოპონენტი და მთლიანად ხარ კონცენტრირებული მის დამარცხებაზე, რაც იყო 2012 წელს, იმიტომ, რომ ძირითადად მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის იყო ბრძოლა. მეორეა, როცა ჩნდებიან ახალი მოთამაშეები პოლიტიკური პარტიების სახით. საპრეზიდენტოზე და ადგილობრივ არჩევნებზე გამოჩნდნენ ბურჯანაძისა და ირმა ინაშვილის პარტიები. ახლა ემატებიან ახალი მოთამაშეები, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება ამდენ ოპონენტთან დაპირისპირება.

– არჩევნებს გააყალბებენო, აცხადებენ „ოცნების“ ოპონენტები. შეძლებენ ამის გაკეთებას?

– ცოტა არ იყოს და გაუჭირდებათ. კონკურენცია იქნება მაღალი და ბევრ სუბიექტთან ბრძოლა რთულია. ყველასთან ერთსა და იმავეს ხომ ვერ გააკეთებ?! ელემენტარულად ამისთვის რესურსი არ გეყოფა.

– იმის თქმა გინდათ, რომ „ოცნება“ არ არის მაინცდამაინც სახარბიელო სიტუაციაში?

– არ არის და თავის თავს უნდა დააბრალოს. ქართველ ამომრჩეველს არ დაუვალებია მათთვის კოჰაბიტაცია. რამდენიც არ უნდა იძახონ ცალკეულმა ლიდერებმა, რომ ხალხის მოთხოვნა იყო ეს, ხალხს ნამდვილად არ მოუთხოვია, მკვდრეთით აღედგინათ ნაციონალური მოძრაობა!

ნაციონალები ახლა მოფერიანდნენ, ხვდებიან, რომ არაფერი ემუქრებათ და უკვე აქეთ არიან შეტევაზე გადმოსული. ესეც ძალიან მოქმედებს ამომრჩეველზე. როცა არამართალი კაცი გაკრიტიკებს, ეს უკვე შენი სისუსტის მაჩვენებელია! ამომრჩეველს კი სუსტი პოლიტიკური ძალები არ უყვარს.

– ნაციონალები ახსენეთ და ვერც მათ აქვთ ყველაფერი რიგზე პარტიაში.

– დიახ, ასეა. ნაციონალებში დაპირისპირება სულ უფრო ღრმავდება და ამ ყველაფერმა უკვე გარეთ გამოჟონა. თუ „ოცნების“ საქმე ცუდად არის, მათი კიდევ უარესადაა. თავადაც მშვენივრად იციან, რომ ეს მილევადი პოლიტიკური ძალაა.

– მით უმეტეს აღარ ჰყავთ, როგორც თავად ამბობდნენ, ქარიზმატული ლიდერი.

– კი, ნამდვილად ასეა. ქარიზმატული კი არა, ის იყო ავტორიტარული ლიდერი, რომელიც თვითონ წყვეტდა, სახლის ფასადი რა ფერად უნდა შეღებილიყო. ეს განვლილი ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში. რამდენიც არ უნდა იბრძოლოს სააკაშვილმა, ის წარსულის პოლიტიკური ლიდერია, თანაც – საუკუნეების წინანდელი წარსულის.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მოწმემ მოკლული ლაშა მახარაძის დედის ინფორმაცია არ დაადასტურა

მოწმე არჩილ დათუნაშვილმა არ დაადასტურა მოკლული ლაშა მახარაძის დედის ინფორმაცია, რომ იგი მახარაძის მკვლელობას შეესწრო.

დათუნაშვილი ბრალდების მხარის მოწმის სტატუსით საქალაქო სასამართლომ დაკითხა. მისი ინფორმაციით, მკვლელობის ადგილიდან იმ მომენტში, როდესაც მახარაძე მოკლეს, გასული იყო. მისი თქმით, მახარაძის მკვლელობის მომენტში იქვე ე.წ. ბესედკაში იმყოფებოდა და ორჯერ გასროლის ხმა გაიგო, თუმცა ასაფეთქებლის ხმა ეგონა.

პროკურორის დასმული შეკითხვა, ადასტურებს თუ არა იმ ფაქტს, რომ იგი აგვისტოში იმყოფებოდა მოკლულის დედა ნინო დიდებულიძესთან, დათუნაშვილმა არც უარყო და არც დაადასტურა. ასევე პროკურორმა მოწმეს შეკითხვა დაუსვა, მამამისს, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და რუსეთის მოქალაქეა, აქვს თუ არა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი. მოწმემ არც ამ შეკითხვას უპასუხა.

მოკლული ლაშა მახარაძის დედამ, რომელიც სასამართლოზე პირველ მოწმედ დაიკითხა, აღნიშნა, რომ აგვისტოში მასთან დათუნაშვილი იმყოფებოდა, რომელმაც უთხრა, რომ მკვლელობის თვითმხილველია.

ნინო დიდებულიძის თქმით, დათუნაშვილმა მას უთხრა, რომ დაინახა, როგორ ესროლა მახარაძეს გიორგი ოქროპირიძემ.

მოკლულის დედამ ასევე აღნიშნა, რომ დათუნაშვილმა ისიც უთხრა, რომ მას, მენტალობიდან გამომდინარე, არ სურს ოქროპირიძის დაკავება, რადგან პირადად უნდა შურისძიება.

დათუნაშვილის გარდა, ბრალდების მხარემ დაკითხა კიდევ ერთი მოწმე, ლაშა მახარაძის მეგობარი ლაშა ვაშაკიძე, რომლის ავტომობილითაც ლაშა მახარაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინტერპრესნიუსი

ზვიად ძიძიგური: „მაჟორიტარული სისტემის გაუქმება არასწორია“

– არასწორია იმის თქმა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არასამართლიანია, ბოროტებაა და უნდა გავაუქმოთ, არასწორია, – განაცხადა პარლამენტის ვიცესპიკერმა ზვიად ძიძიგურმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, სადაც მაჟორიტარული ოლქების საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე მსჯელობენ.

ძიძიგურის განმარტებით, ის, რასაც საერთაშორისო ექსპერტები და ორგანიზაციები ქართულ მხარეს საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ურჩევდნენ, ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების გამოთანაბრება და ამ თვალსაზრისით არსებული საზღვრების ცვლილებაა. მისივე თქმით, ის, რომ, ზოგადად, მაჟორიტარული არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უარყოფილია, სიმართლეს არ შეესაბამება.

– ასეთი დასკვნა არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ გაუკეთებია. გაეროს წევრ 70 ქვეყანაში არის სუფთა მაჟორიტარული არჩევნები, 68 ქვეყანაში არის პროპორციული არჩევნები და 44 ქვეყანაში – მაჟორიტარულ-პროპორციული არჩევნები. ის, რომ გაეროს ქვეყნებს, სადაც მაჟორიტარული სისტემაა, უთხრა, რომ ეს არის უსამართლო, არ მგონია, ასეთი ტიპის შეხედულება და დამოკიდებულება მთლად კვალიფიციური იყოს, – განაცხადა ძიძიგურმა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი დღეს პირველი მოსმენით იხილავს ცვლილებებს, რომლებიც 73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრების შეცვლას ითვალისწინებს. საკითხი კომიტეტის წევრებს ზვიად ძიძიგურმა წარუდგინა.

ინტერპრესნიუსი

ლევან მურუსიძე: „ჩემი ლანძღვით სასამართლო სისტემას ურტყამენ“

„მე არ ვიბრძვი ჩემი სკამის გამო. ჩემს სინდისთან მართალი ვარ და ამაზე ვაგებ პასუხს“

ნონა ცაბაძე

საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივან ლევან მურუსიძის იჩგვლივ ატეხილი ჟიოტაჟი ახ ცხრება. მურუსიძე საჯაშვილის ხელისუფლების პერიოდის მოსამართლეა და მის სახელს ბევრი გახმაურებული საქმე და სჯანდალური გადანყვეტილება უკავშირდება.

ლევან მურუსიძის აზრით, ის ამდენ ტალახს არ იმსახურებს. სხვა თუ არაფერი, მოსმენას მაინც ვიმსახურებ, – აღნიშნავს იგი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში.

– ბატონო ლევან, ბევრი ბრალდება ისმის თქვენი მისამართით. ოპონენტები ამბობენ, რომ არ იმსახურებთ ვადის გაგრძელებას. როგორია თქვენი პოზიცია ამ ბრალდებებზე?

– ყოველთვის ვაცხადებ, რომ მე ვარ მოსამართლე, რომელმაც უნდა ვიმოქმედო ყოველთვის კანონის შესაბამისად. მოსამართლის გაკიცხვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონს უხეშად დავარღვევ.

– მერე, არ დაგირღვევიათ კანონი? ყველა გახმაურებული საქმე თქვენს სახელთან არის დაკავშირებული.

– ყველა გახმაურებულ საქმეზე შემიძლია გავცე არგუმენტირებული პასუხი. როდესაც ლანძღავენ სასამართლოს და ამბობენ, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რატომ არ ითვალისწინებენ იმას, სხვა რა ალტერნატივა ჰქონდა სასამართლოს და რა გადაწყვეტილების მიღება შეეძლო მოცემულ შემთხვევაში?

„ნაციონალებმა სასამართლოს ბევრი უფლება შეუკვეცეს“

თუნდაც გირგვლიანის საქმე ავიღოთ. მე მოვუწოდებ ყველა მხარეს, აიყვანონ ის იურისტები, რომლებსაც ენდობიან, რომლებსაც აქვთ განათლება სისხლის სამართლის პროცესში. შემიძლია, მათ შევხვდე, ავუხსნა საქმის გარემოებები და, თუ ისინი იტყვიან ამის შემდეგ, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა რაიმე ალტერნატივა იმისა, რომ თუნდაც დაეკმაყოფილებინა დაზარალებულების საჩივრები, საქვეყნოდ მოვიხდი ბოდიშს და ჩემი ნებით ვიტყვი უარს კონკურსში მონაწილეობაზე!

– ჩვენ გვესმის შეფასებები, რომ წინა ხელისუფლება იყო სისხლიანი რეჟიმი, რომ ყველა ეს საქმე იყო შეთითხნილი. მოსამართლეები კი, როგორც ნოტარიუსები, ისე ჰყავდათ და ყველა ამ შეთითხნილ საქმეს ხელს აწერდნენ. ამაზე რას უპასუხებდით?

– ამაზეც მოგიყვანთ მაგალითს: კოდექსში შეტანილი იყო ცვლილება, რომ მოსამართლეს შეეძლო, განსასჯელისთვის მიესაჯა, კოდექსით რაც იყო გათვალისწინებული, იმ სასჯელის მინიმუმი. ბევრს არ მოეწონა, რომ მოსამართლე იყენებდა ამ მუხლს და ეს კანონმდებლობით შეცვალეს, პარლამენტმა განახორციელა ცვლილება და მოსამართლეს ეს უფლება ჩამოართვეს.

ამის შემდეგ მოსამართლე ამ უფლებას ვერ იყენებდა. თუ პარლამენტმა მიიღო კანონი და მოსამართლეს უფლებები შეუკვეცა, ეს მოსამართლის ბრალია?! ამიტომ თუ იყო რეჟიმი და ის ხელისუფლება თუ იყო დამნაშავე, ეს ხომ სასამართლოზეც აისახა?! პარლამენტმა ხომ ისეთი კანონები მიიღო, რაც მოსამართლეს არ აძლევდა უფლებას, სრულფასოვნად განეხორციელებინა თავისი მოვალეობები.

– ანუ აღიარებთ, რომ რეჟიმი იყო და დიდი ზეწოლის ქვეშ იყო სასამართლო?

– მე ვაღიარებ ერთ რაღაცას – სასამართლოზე განხორციელდა საკანონმდებლო ზეწოლა. ავიღოთ თუნდაც გირგვლიანის საქმე, შემოვიდა სასამართლოში, საზოგადოებაში ცნობილი იყო, რომ ეს იყო მკვლელობა და ეს იყო წამება. პროკურატურამ კი გამოიძია საქმე და სასამართლოში შემოიტანა სულ სხვა მუხლებით, არც მკვლელობის მუხლი იყო წაყენებული და არც – წამების.

ადრე სასამართლოს ჰქონდა საშუალება – თუ დარწმუნდებოდა, რომ ბრალი არასწორად იყო წაყენებული, საქმეს უკან აბრუნებდა გამოძიებაში. მათ ეს საშუალებაც მოუსპეს სასამართლოს. თუ უფლება არ გვქონდა, საქმე უკან დაბრუნებულიყო დამატებითი გამოძიების მოტივით, რა უნდა ექნა სასამართლოს?! სასამართლოს ჰქონდა ორი ალტერნატივა.

– რა ალტერნატივებზე საუბრობთ?

– რა მუხლებიც ჰქონდა ამ ოთხ პირს წაყენებული, იმ მუხლებით ან გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოეტანა, ან უნდა გაემტყუნებინა. სასამართლომ გაამტყუნა იმ მუხლებით, რომლებიც გამოძიების მიერ ჰქონდა წაყენებული. სხვა ალტერნატივა არ გვქონდა.

– ანუ აღიარებთ იმას, რომ მაქსიმალურად შეკვეცილი გქონდათ უფლებები წინა ხელისუფლების მიერ?

– საკანონმდებლო დონეზე სასამართლოს ძალიან ბევრი უფლება ჰქონდა შეკვეცილი! სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეეძლო, საქმე უკან დაებრუნებინა, თუნდაც დარწმუნებული ყოფილიყო, რომ გამოძიება არასრულყოფილად იყო ჩატარებული. სასამართლოს არ ჰქონდა ინიციატივების უფლება!

– მერე, ეს არ არის ზეწოლა? რატომ გაურბიხართ ამ კითხვაზე პასუხს?

– ეს შეიძლება არის საკანონმდებლო ზეწოლა სასამართლოზე, მაგრამ არასწორია, დაადანაშაულო მოსამართლე იმაში, რომ მან კანონი შეასრულა და მოსამართლეზე გადმოიტანო მთელი თავდასხმა და მთელი ტვირთი იმისა, რაც მოსამართლის ბრალი არ არის.

ჩვენ შეგვიძლია, ასეთი შეფასება მივცეთ – კანონები იყო მძიმე! ისეთი კანონები იყო, რომლებიც მოსამართლეს ხელ-ფეხს უკრავდა, მაგრამ არასწორია, ყველაფერი მოსამართლეს დავაბრალოთ და გავლანძღოთ იმის გამო, რომ მან კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო.

გავერკვეთ საკითხში, თუ რა უფლება ჰქონდა მოსამართლეს და მერე გავაკრიტიკოთ.

– სხვაგვარად მოქცევა არ შეგეძლოთ?

– ვინმემ დამისახელოს ალტერნატიული გზა, მითხრან, როგორ უნდა მოქცეულიყო მოსამართლე და რაზეა საუბარი, მე მოვიხდი ბოდიშს!

– თუ ხვდებოდით, რომ შეზღუდული გქონდათ უფლებები და ეს სწო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სოსო ჯაჭვლიანი: „რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი არ უნდა თქვა“

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო ხანებში რელიგიური გრძნობებისა და სიწმინდეების შეურაცხყოფის გამო არაერთი სკანდალი აგორდა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოსო ჯაჭვლიანმა და „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის ხელმძღვანელმა ზვიად ტომარაძემ გადაწყვიტეს, ამ პრობლემას კანონის დახმარებით მიხედონ.

მათ პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართეს, რომლის თანახმადაც, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება 166-1 მუხლი „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“.

სოსო ჯაჭვლიანი დარწმუნებულია, რომ მის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს მისი კოლეგები მხარს დაუჭერენ. კოლეგების იმედი ნაკლებად აქვს ზვიად ტომარაძეს.

– დიდი ალბათობით, არასამთავრობო სექტორი გაერთიანდება ჩვენი კანონპროექტის წინააღმდეგ და მიმართავს პარლამენტს, არ მიიღონ ეს ცვლილება, – აღნიშნავს ტომარაძე.

მისივე თქმით, არასამთავრობები პარლამენტს კანონის ჩასაგდებად რამდენიმე მიზეზს დაუსახელებენ.

– იტყვიან, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება არსებითად აზიანებს გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესს. არადა, იციან, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს და ის მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლებების შელახვა; საზოგადოებაში დახატავენ სიტუაციას, ვითომ მომავალში კრიტიკის გამო ადამიანები დაისჯებიან. არადა, მათ მშვენივრად იციან განსხვავება კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის; ისინი საზოგადოებას შეცდომაში შეიყვანენ, იტყვიან, რომ ეს კანონი მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებებს დაიცავს. ცვლილების მიხედვით კი ყველა რელიგიის აღმსარებლის უფლებები დაცული იქნება, – აღნიშნავს ტომარაძე.

მისივე თქმით, არასამთავრობები შეეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ საკანონმდებლო ცვლილება არ შეესაბამება ადამიანის უფლებების კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს. ეს კი ტყუილია და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა იმავე სახის დანაშაულზე უფრო მკაცრად რეაგირებს და სისხლის სამართლის კოდექსით არეგულირებს.

ჯაჭვლიანმაც იცის, რომ სირთულეები ელოდება, მაგრამ მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ დეპუტატები ამ ინიციატივას მხარს დაუჭერენ.

ოპტიმისტი კანონმდებლის მტკიცებით, რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის ფულადი ჯარიმები უნდა დაწესდეს.

– ეს კანონი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ის ძალიან პოზიტიური იქნება საზოგადოებისთვის. ყველაფრის თქმა, რაც ენაზე მოგადგება, არ შეიძლება. ადამიანი ამბობს, რომ თავისუფალია. თავისუფალი, ჩემი აზრით, გიჟია. თავისუფლება არ ნიშნავს, რომ ყველაფერი თქვა. თავისუფლება არ ნიშნავს, რომ რაც მოგესურვება, ის გააკეთო. რაღაცის გამოხატვას, თუ საზოგადოებისთვის მიუღებელია, უნდა მოერიდო. შესაძლებელია მე თქვენ გაკრიტიკოთ, მაგრამ გააჩნია, როგორ გაგაკრიტიკებთ. კრიტიკა მისაღებია, თუმცა შეურაცხყოფა სხვა რამეა, ამიტომ ნებისმიერი რელიგიის მქონე ადამიანის – იუდეველი იქნება, კათოლიკე, მართლმადიდებელი თუ სხვა – გრძნობების შეურაცხყოფაზე გავრცელდება ეს კანონი, – აცხადებს ჯაჭვლიანი.

ის ამ ცვლილებებსაც ოპტიმისტურად უყურებს და დარწმუნებულია, რომ, ამ ინიციატივის გათვალისწინების შემთხვევაში, ქვეყანაში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ფაქტები შემცირდება და სასულიერო პირების შეურაცხყოფასაც ნაკლებად ექნება ადგილი.

– ადამიანის შეურაცხყოფა, მისი რელიგიის შეურაცხყოფა არ შეიძლება და, თუ არ გწამს ღმერთის, მაშინ უნდა იწამო კანონის. როდესაც ადამიანი პირჯვარს იწერს, როდესაც ადამიანი მეჩეთში შედის და ლოცულობს, არ უნდა შეურაცხყო. არ შეიძლება ღორის თავის მიჭედება მედრესეზე, არ შეიძლება ჯვარზე ღორის გაკვრა. ყველა რელიგიას აქვს თავისი დოგმატიკა და, აქედან გამომდინარე, იმის განსაზღვრა, თუ რა არის შეურაცხყოფა, ძალიან ადვილია. შეურაცხყოფაა, როცა ლოცულობ და დაგცინიან, – ამბობს დეპუტატი.

მისი აზრით, ასევე არ შეიძლება დედის გინება. დედაზე რომ გაგინებენ, ამაზე რეაქცია უნდა გქონდეს, თუმცა, უბედურება რომ არ მოხდეს, კანონში უნდა ჩაიწეროს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება.

მისივე თქმით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ევროპულ ქვეყნებშიც ისჯება.

– ჩვენ მივდივართ ევროპისკენ. ჩამოვთვალი ევროპის ქვეყნებს, სადაც ეს უკვე განსაზღვრულია და ასახულია კანონში: გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი. ისრაელში 18-თვიანი პატიმრობაა. ჯარიმებია იტალიაში, გერმანიაში. ჩვენ არ ვიგონებთ ახალ ველოსიპედს, – აღნიშნა უმრავლესობის წევრმა.

ზვიად ტომარაძე კი კონკრეტულ ქვეყნებს ასახელებს, სადაც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა კანონით ისჯება.

იტალიაში სისხლის სამართლის კოდექსის 724-ე მუხლი „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის“ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სასჯელს, ჯარიმას 51-დან 309 ევრომდე.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 525-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც შეურაცხყოფს რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის გრძნობებს საჯაროდ, სიტყვიერად ან წერილობით, ისჯება ჯარიმით.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით იკრძალება: წმინდა პირებისა და რელიგიური სიმბოლოების შეურაცხყოფა. სასჯელი: ჯარიმა ან 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

დანიის სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით იკრძალება „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“. პირი, რომელიც საჯაროდ დასცინის რელიგიურ მოძღვრებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით მინიმუმ 4 თვით.

ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, არაუმეტეს 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთით (ან ჯარიმით) ისჯება პირი, რომელიც საჯაროდ, ზეპირად ან წერილობით შეურაცხყოფს რელიგიურ გრძნობებს.

ისლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მიხედვით რელიგიური ღვთისმსახურის ან ღვთისმსახურების საჯარო შეურაცხყოფა ისჯება 3-თვიანი პატიმრობით ან ფულადი ჯარიმით.

უსუფაშვილი: „კოალიცია არჩევნებისთვის ივანიშვილის გარეშე მოემზადება“

– კოალიცია არჩევნებისთვის უნდა მოემზადოს და თავისი მუშაობა ივანიშვილის პოლიტიკური ლიდერობის გარეშე დაგეგმოს.

ამის შესახებ გუშინ, 8 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის პოზიცია პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით მისთვის ცნობილია და ყოფილი პრემიერი პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებს.

– ივანიშვილის როლი იყო პოზიტიური და, თუ დარჩებოდა კიდევ ცოტა ხანი, იქნებოდა გაცილებით პოზიტიური. რაც შეეხება მის შესაძლო შემობრუნებას პოლიტიკური ცხოვრებისაკენ, ამ ნაწილში მისი პოზიცია მე რაც ვიცი, არის მტკიცე, რომ ამისი გეგმა და სურვილი არ აქვს, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისი თქმით, ივანიშვილი ამბობს – ამასობაში ვრჩები საქართველოს მოქალაქედ და თუ დავინახე, იმდენად რთულად არის საქმე იმისთვის, რომ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩავერთო, მზად ვარო, თუმცა ამბობს, რომ ამის ალბათობას ვერ ხედავს და არ ხედავს.

– ეს ნიშნავს, რომ კოალიცია არჩევნებისთვის უნდა მოემზადოს და დაგეგმოს თავისი მზადება ივანიშვილის პოლიტიკური ლიდერობის გარეშე. ამასთანავე, დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ბიძინა მოახერხებს თავისი სათქმელის თქმას და ხმის მიწვდენას და მისი რჩევების გათვალისწინებით მოხდება მის მიერ შექმნილი პარტიის, ასევე კოალიციური სისტემის კიდევ უფრო გაძლიერება, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

ლევან მურუსიძე: „ჩემი ლანძღვით სასამართლო სისტემას ურტყამენ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რად არ მიგაჩნდათ, წინააღმდეგობას რატომ არ უწევდით? სკამების დაკარგვის გეშინოდათ?

– თქვენ გვთავაზობთ იმას, რომ იმ პერიოდის სასამართლოს უარი ეთქვა საერთოდ მართლმსაჯულების განხორციელებაზე და მასობრივად ყველას გვეთქვა, რომ რადგან კანონი არასწორია, ჩვენ უარს ვაცხადებთ მართლმსაჯულების განხორციელებაზე, უარს ვაცხადებთ საქმეების განხილვაზე, საერთოდ გაგვეხადა მანტიები და ყველა 200-300 მოსამართლე სახლში წასულიყო?! რა ალტერნატივა გვქონდა? რას გვთავაზობთ?!

– პროტესტი არასდროს მოუსმენია საზოგადოებას თქვენი, იმდროინდელი მოსამართლეების მხრიდან.

– გეტყვით, რატომ არ ყოფილა პროტესტი და რატომ ვლაპარაკობ ახლა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე მაშინ ვიყავი რიგითი მოსამართლე, არ მქონდა ადმინისტრაციული თანამდებობა და რიგითი მოსამართლე ვალდებული არ იყო, ესაუბრა. ან რა უნდა გველაპარაკა?! უნდა ელაპარაკა ხელმძღვანელობას.

მე როდესაც გავხდი იუსტიციის საბჭოს მდივანი, ჩემი პირდაპირი მოვალეობაა ის, რომ ვაკეთო კომენტარები საქმეებთან დაკავშირებით და ზოგადად იმ თემებზე, რაც ეხება სასამართლოს. დღეს ჩემი ვალდებულებაა, დავიცვა სასამართლო სისტემა ამ თავდასხმებისგან.

ამ შემთხვევაში ორ პირს აქვს უფლება, გამოვიდეს და სასამართლოს სახელით ილაპარაკოს – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მე.

– უნდა გაგაწყვეტინოთ. თქვენ აცხადებთ, რომ სასამართლო უნდა დაიცვათ თავდასხმებისგან. ახლაა თავდასხმები და მაშინ არ იყო?

– კი, იყო, მაგრამ მაშინ მე ხომ არ ვიყავი საბჭოს მდივანი?! მე არ მქონდა მაშინ იმის უფლებამოსილება, რომ გამომეხატა პოზიცია. ამიტომ ძველი ტვირთის აკიდება ჩემზე, რატომ არ ვაკეთებდი მაშინ და ვაკეთებ ახლა, არასწორია. მაშინ სხვები იყვნენ ამ თანამდებობებზე და მათ შეეძლოთ, ეს გაეკეთებინათ.

– თქვენ თვლით, რომ აბსოლუტურად მართალი და სუფთა ხართ ყველა იმ გახმაურებული საქმის გადაწყვეტილებაში, რომლებსაც დღეს გედავებიან? რაზეც ამდენი კითხვაა, ყველაფერი კანონის შესაბამისობაში იყო?

– მე ყოველთვის ვცდილობდი, მემოქმედა კანონის შესაბამისად, არასოდეს დამერღვია კანონი. ყოველთვის გულწრფელად მიმაჩნდა, რომ იმ მომენტში ჩემი გადაწყვეტილება იყო სწორი და აბსოლუტურად შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. ჩემს სინდისთან ამ შემთხვევაში ვარ მართალი და ამაზე ვაგებ პასუხს.

– დღეს რაში მდგომარეობს თქვენი პროტესტი?

– დღეს აქ არ არის საუბარი ლევან მურუსიძეზე. ლევან მურუსიძე სასამართლო სისტემაში იქნება თუ არ იქნება, ეს კი არ არის მნიშვნელოვანი.

სასამართლო სისტემა 2012 წლის შემდეგ დაადგა დამოუკიდებლობის გზას, ბევრი რამე გაუმჯობესდა, მაგრამ ჩვენ თუ მივცემთ ადამიანებს იმის საშუალებას, რომ თავიანთი გაუგონარი პროტესტით ზეგავლენა მოახდინონ სასამართლოზე და საბჭოს საქმიანობაზე, მაშინ ისინი ამას მომავალშიც შეძლებენ და სასამართლო სისტემა გახდება მათი მძევალი.

მე არ ვიბრძვი ჩემი სკამის გამო. მე პრობლემა არ მაქვს, წავალ სასამართლო სისტემიდან და ჩემს გზას მოვძებნი. მე ვიბრძვი იმისთვის, რომ ხვალ და ზეგ არ დადგეს ანალოგიური შემთხვევა და მოსამართლეებზე, რომლებსაც განხილული აქვთ ანალოგიური საქმეები, არ ატეხონ აჟიოტაჟი და სასამართლო სისტემა არ გადაიქცეს ამ ყველაფრის მძევლად. მე ამისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ.

– მოვისმინეთ ასეთი შეფასებაც, რომ ლევან მურუსიძის ციხეში გაშვება ყოველ წუთსაა შესაძლებელი.

– თუ შეიძლება, თუ მე დავარღვიე კანონი, მე ნებისმიერ შემთხვევაში ჩემს მოქმედებებზე კანონის წინაშე ვაგებ პასუხს. მე ნებისმიერ ჩემს გადაწყვეტილებაზე მზად ვარ, პასუხი ვაგო. მე არაფრის მეშინია და პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემი თითოეული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კანონს!

საუკეთესო სპეციალისტები შეკრიბონ, ყველა საქმე თავიდან გავიაროთ და, თუ სასამართლოს შეეძლო, ამ საქმეზე სხვა გადაწყვეტილება გამოეტანა, მაშინ მე არანაირი პრობლემა აღარ მაქვს, ამოვწურავ ჩემს ვადას, რომელიც აპრილში გადის, წავალ სასამართლო სისტემიდან და არასოდეს მექნება პრეტენზია ამ სისტემაში მოტრიალების.

სხვა შემთხვევაში ასეთ დაუსაბუთებელ და უარგუმენტო ლანძღვა-გინებას არ მივიღებ. ჩემი ლანძღვით სწორედ სასამართლო სისტემას ურტყამენ. მომისმინონ, ამას ხომ მაინც ვიმსახურებ!

„ჩერნოვეცკის უსაქმურობა მობეზრდა და გადაწყვიტა, ამოძრავდეს“

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ ეს სამი წელი სახლობანა ითამაშა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გადახალისება გაუჭირდება, რადგან ეთმანეთს სიიდან ასე მარტივად ვერ ამოშლიან.

გია ხუხაშვილი:

– ბევრი სიმპტომია იმის, რომ მოქმედ ხელისუფლებას, ისევე, როგორც მის ნებისმიერ წინამორბედს, გაუტკბა ძალაუფლება. ხელისუფლება ჯანსაღი არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო ნაბიჯებს კი არ დგამს, არამედ ხელისუფლების შესანარჩუნებლად იბრძვის.

პოლიტოლოგი ამბობს, რომ ეს არის პროცესი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძალაუფლება ადამიანებს რყვნის.

– პოლიტიკოსები თავიანთ შეხედულებებს აყალიბებენ იმის მიხედვით, ხელისუფლებაში არიან თუ ოპოზიციაში. ვნახეთ, როგორ შეცვალა თავისი დამოკიდებულება უკვე ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ, რომელიც ოპოზიციაში ყოფნის დროს სრულიად განსხვავებულად ხედავდა თუნდაც საარჩევნო სისტემას ქვეყანაში, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

– ბატონო გია, ახალი მოთამაშეები შემოდიან ქართულ პოლიტიკაში, საუბარია უკრაინელ ბიზნესმენ ლეონიდ ჩერნოვეცკიზე, რომელიც ქობულეთში ცხოვრობს, ასევე საუბარია პაატა ბურჭულაძეზე. ეს რამდენად შეცვლის არსებულ პოლიტიკურ რეალობას?

– ახალი პიროვნებების გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში კანონზომიერი პროცესია, ვინაიდან არსებული პოლიტიკური ელიტა ღრმა კრიზისშია. ამომრჩეველი დისტანცირებულია მისგან. შესაბამისად, ხალხიდან მომდინარე ძალაუფლება დღეს ქუჩაში აგდია.

ბუნებრივია, როდესაც პოლიტიკურ მოედანზე მოთხოვნა ჩნდება, მიწოდებაც იზრდება. ადამიანები ვაკუუმის შევსებას ცდილობენ. სწორედ ამას ვაკვირდებით, როდესაც მსოფლიო ბანმა პაატა ბურჭულაძემ გადაწყვიტა, ნაბიჯი გადაედგა ამ მიმართულებით. რაც შეეხება ჩერნოვეცკის, ეს ცოტა სხვა ისტორიაა.

– რამდენად რეალურია მისი ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობა?

– მე ვფიქრობ, ის ცოტა დაიღალა უსაქმურობისგან და გადაწყვიტა ამოძრავდეს.

– რა შანსები აქვს?

– შანსები არ აქვს და არც მგონია, მას ამის ამბიცია ჰქონდეს, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს. წარმოიდგინეთ, სამშობლოში ვერ ბრუნდება, ვერ ახდენს რეალიზებას და ბოლოს და ბოლოს, იდილიური ცხოვრება მობეზრდა. როგორც ჩანს, ცოტა ადრენალინი, ფორმაში მოსვლა სჭირდება. შეიძლება ერთგვარი ტრენაჟორი იყოს ქართული პოლიტიკა ჩერნოვეცკისთვის, რომ ძალიან არ მოეშვას და წონაში არ მოიმატოს. ამ პერიოდში ის მხოლოდ გაერთობა და სხვა არაფერი.

რაც შეეხება პოლიტიკის პარადოქსებს, ასეთი მოდელირება შეიძლება: სააკაშვილი გახდეს უკრაინის პრემიერ-მინისტრი, ჩერნოვეცკი კი – საქართველოს პრემიერი და მათ, სამართალდამცავი სტრუქტურების მოთხოვნების შესაბამისად, ერთმანეთი გადასცენ საკუთარ სამშობლოს. ამ პარადოქსამდეც შეიძლება მივიდეთ.

– ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში დაბრუნება ხომ არ არის პარადოქსი?

– რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას, არა მგონია, ეს ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა იყოს. ვფიქრობ, კოალიცია, ხელისუფლება ცდილობს მის ამ თამაშში ჩათრევას.

დღეს კოალიცია ივანიშვილის ავტორიტეტზე კიდია, მასზე პარაზიტირებს. ხელისუფლებას ივანიშვილმა თავისი მაღალი ნდობის მანდატი გადასცა, მაგრამ ხელისუფლებამ ეს სამი წელი სახლობანა ითამაშა და ეს ყველაფერი მიფანტ-მოფანტა.

ახლა კვლავ ბიძინა ივანიშვილის მხრებზე ცდილობენ აცოცებას. მისი შემორჩენილი რესურსებისა და ავტორიტეტის ხარჯზე უნდათ კვლავ ხელისუფლებაში შეცურება და თბილ სავარძელში ჯდომის ოთხი წლით გახანგრძლივება.

ეს არის კლასიკური პარაზიტული მდგომარეობა ერთი ადამიანის ხარჯზე. ჩემი აზრით, ეს სამარცხვინო საქციელია. თუმცა, ბიძინა ივანიშვილის იმედზე ყოფნაც კი დღეს უკვე გადაჭარბებულია.

ალეკო ელისაშვილი პროკურატურაში დაიბარეს

„მაღალჩინოსნები ცდილობდნენ ჩემზე ზეწოლას, რათა კონკრეტული პატიმრები გაგვეთავისუფლებინა“

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი პროკურატურაში დაიბარეს. საგამოძიებო უწყებაში მას დღეს, 11:00 საათზე ელოდებიან.

პროკურატურას შეკითხვები ელისაშვილის მიერ გუშინ გავრცელებულ ინფორმაციაზე ექნება.

ელისაშვილი იხსენებს, რომ შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში მასზე მაღალჩინოსნები ზეწოლას ახორციელებდნენ.

მისი თქმით, კონკრეტული მაღალჩინოსნები მას ურეკავდნენ და უთითებდნენ, თუ ვინ უნდა შეეწყალებინათ. ელისაშვილი კონკრეტულ გვარებს ამ ეტაპზე არ ასახელებს, თუმცა განმარტავს, რომ ისინი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ.

როგორც ელისაშვილი ამბობს, მაღალჩინოსნები პატიმართა ოჯახების წევრებისგან დიდი ოდენობით თანხებს იღებდნენ.

– ცდილობდნენ ჩემზე ზეწოლას, რომ კონკრეტული პატიმრები გაგვეთავისუფლებინა და მათი საქმეები რიგგარეშე ყოფილიყო განხილული გამომდინარე იქიდან, რომ ეს პატიმრები კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებდნენ, – აცხადებს ალეკო ელისაშვილი.

ის ამბობს, რომ სწორედ ამ პოლიტიკოსებზე მიიღო ინფორმაცია ძალიან სარწმუნო წყაროდან, რომ მათ ჰქონდათ წინასწარ 200 ათასი დოლარი აღებული. სანაცვლოდ ისინი ოჯახის წევრებს პატიმრების გათავისუფლებას დაჰპირდნენ. თუ ეს მოხდებოდა, შემდეგ ისინი მილიონ-ნახევარს აიღებდნენ.

– მე ეს ინფორმაცია ძალიან სერიოზულმა ადამიანმა მომაწოდა. ის ადამიანი დღესაც მაღალი თანამდებობის პირია, – ამბობს ალეკო ელისაშვილი.

ამის შემდეგ მან ეს ინფორმაცია მიაწოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავარ პროკურორსა და მის მოადგილეს.

– მირეკავდნენ, მიგზავნიდნენ მესიჯებს, ძალიან კატეგორიულს და მოითხოვდნენ ჩემგან, რომ მე აუცილებლად ჩამესვა განხილვაში ეს ხალხი, – აცხადებს ალეკო ელისაშვილი.

მმართველი გუნდის წარმომადგენელთა მხრიდან ცალკეული პატიმრების მიმართ არაჯანსაღ დაინტერესებაზე საუბრობს შეწყალების კომისიის ახლანდელი თავმჯდომარეც.

როგორც ზვიად ქორიძემ ნიუპოსტს განუცხადა, არსებობს მაგალითები, რომლებიც კონკრეტული მსჯავრდებულების შეწყალებაზე გარკვეული პოლიტიკოსების მაღალ ინტერესს მოწმობს.

– კითხვებს აჩენს, როდესაც კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალებასთან დაკავშირებით რიგი პოლიტიკოსი არაჯანსაღი ინტერესით გამოირჩევა. საუბარია კონკრეტული მსჯავრდებულების საქმეების განსაკუთრებულ დაინტერესებაზე და იმაზე, რომ ყველა მეთოდით მიაღწიონ იმას, რომ გამოყენებულ იქნეს შეწყალების მექანიზმი ისეთ საქმეებზე, რომლებზეც შეწყალების კომისიამ ვერ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, – განაცხადა ქორიძემ.

ნიუპოსტის კითხვას, ჰქონდა თუ არა ადგილი ზეწოლის ფაქტებს მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, ზვიად ქორიძემ ასე უპასუხა:

– არ შეიძლება, პოლიტიკოსი დაჟინებით ერთისა და იმავე მსჯავრდებულების თემით იყოს დაინტერესებული.

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ, ელისაშვილის მსგავსად, პროკურატურის წარმომადგენელთან შეხვედრასა და გამოძიებისთვის მის ხელთ არსებული ფაქტების გადაცემას თავადაც გეგმავს.

– ეს შეეხება როგორც პოლიტიკოსებს, ასევე საჯარო პირებს, ცალკეულ სასულიერო პირებს და ა.შ. ეს არის ძალიან პრობლემური საკითხი და არ შეიძლება, რომ მსჯავრდებული უსაფუძვლოდ დაარწმუნონ, გაუჩინონ იმედი, მისცე გარანტიები და მერე შექმნა არაჯანსაღი განწყობა შეწყალების მექანიზმის გარშემო, – დასძინა ზვიად ქორიძემ ნიუპოსტთან საუბრისას.

მან განმარტა, რომ ვერცერთი მსჯავრდებული, რომელიც იქნა გათავისუფლებული, ვერ იტყვის, რომ ის რაიმე ანგარებითი ნიშნით გათავისუფლდა.

ოზურგეთში სკოლის მოსწავლე დაჭრეს

ოზურგეთში სკოლის მოსწავლე დაჭრეს. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში დაუდასტურეს.

მათივე ცნობით, შემთხვევა გუშინ ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. დაჭრილი მოზარდი საავადმყოფოშია მოთავსებული და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

2016 წელს ბაზარზე პირველი ქართული ტელევიზორი გამოჩნდება

მომავალ წელს ბაზარზე პირველი ქართული ტელევიზორი გამოჩნდება. ტელევიზორებს რუსთავში არსებული ქართულ-აზერბაიჯანული კომპანია აგ ტელეკომი გამოუშვებს.

აგ მიკროელექტრონიქსის ტიპის ქარხანა ერთადერთია ამიერკავკასიაში და ის 2013 წლიდან არსებობს.

ქართულ ბაზარზე არსებული პრობლემების, კომპანიისა და მისი გეგმების შესახებ „კომერსანტს“ კომპანია აგ ტელეკომის დირექტორი მიხეილ ღლონტი ესაუბრება.

– ვინ არიან კომპანიის დამფუძნებლები და რა ოდენობის ინვესტიცია ჩაიდო წარმოების დასაწყებად?

– ეს არის ქართულ-აზერბაიჯანული კომპანია. აზერბაიჯანში ამ დასახელების კომპანია უკვე არსებობს. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი საკაბელო ტელევიზია და ისიც ქართულ-აზერბაიჯანულ კომპანიას წარმოადგენს.

იმავე წარმოების დაფინანსებულია ეს ქარხანა საქართველოში. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ერთი პერიოდი იყო ჩართული ჩვენთან, თუმცა შემდეგ გამოეთიშა ამ ყველაფერს. დაფინანსება „აწარმოე საქართველოში“ მხრიდან არ არის. რაც შეეხება ინვესტიციას, საკმაოდ დიდი თანხა ჩაიდო, დაახლოებით 2 მილიონი დოლარი.

– „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეობა რა მიმართულებით იყო?

– საუბარი შეეხებოდა პერიოდს, როდესაც ქარხანა უკვე გამართული იყო. იყო განხილვები იმასთან დაკავშირებით, რომ ძირითადი საშუალებების დაფინანსება მომხდარიყო, თუმცა 20%-80%-ზე გადანაწილება არ გვაწყობდა ძირითად საშუალებებზე, რადგან ძირითადი საშუალებები დასამატებელი არ გვქონია. ჩვენი ერთადერთი საჭიროება თანხაში იყო ნედლეულის შესაძენად. თუმცა, ამ მიმართულებით დაფინანსება არ არის, რადგან ბანკს აწყობს, რომ შეიძინოს ძირითადი საშუალება და არა ნედლეული.

„აწარმოე საქართველოში“ კომპანიის მიერ მოპოვებული კრედიტის დაფინანსებაა იმ შემთხვევაში, თუ 80% არის ძირითადი საშუალება. ჩვენ კი არ გვაწყობს, რომ 80% კიდევ ახალი ძირითადი საშუალებები დავამატოთ და ნედლეული არ გვქონდეს საწარმოებლად.

– ქარხანაში უამრავი სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაა შესაძლებელი, მათ შორის სმარტფონების, პლანშეტების, ტელევიზორების და ა.შ. რას აწარმოებთ ახლა და ყველაზე მეტად რომელ პროდუქციაზეა მოთხოვნა?

– ვაწარმოებთ საკაბელო ტელევიზიებისთვის რესივერებს, ასევე ციფრული რესივერები მთლიანად ჩვენი გამოშვებულია. სწორედ ამ მიმართულებით არის ყველაზე დიდი მოთხოვნა, რადგან საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა.

– სმარტფონებისა და ტელევიზორების მიმართულებით თუ გაქვთ დაგეგმილი წარმოება?

– ტელევიზორების მიმართულებაზე პრაქტიკულად ვამთავრებთ მუშაობას, მომავალი წლიდან, ალბათ, თებერვალ-მარტიდან დაიწყება გამოშვება. ეს იქნება პირველი ქართული ტელევიზორი, რომელსაც ეკრანის გარდა სრულად ჩვენ ვაწარმოებთ. ყველაფერს, რასაც ვუშვებთ, ჯერჯერობით ვარქმევთ ქარხნის სახელს – აგ-ს.

– როგორი იქნება თქვენ მიერ წარმოებული ტელევიზორის ფასი?

– საკმაოდ კონკურენტული იქნება ფასისა და ხარისხით მიმართულებითაც. ჯერჯერობით არ დავკონკრეტდები.

– გადის თუ არა ექსპორტზე თქვენ მიერ წარმოებული პროდუქცია და რომელ ქვეყნებში?

– არ ველოდით და მოგვივიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2015 წელს ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობით მესამე ადგილზე გავედით. პროდუქციის ძირითადი ნაწილი – 90% – აზერბაიჯანში გაგვაქვს.

აკუმულატორიანი ლედნათურების ექსპორტზე აფრიკის რამდენიმე ქვეყანასთან გვაქვს მოლაპარაკება, ძირითადად იმ ქვეყნებთან, სადაც დენის პრობლემაა. აკუმულატორიანი ლედნათურები ელექტროენერგიის გარეშე 3 საათის განმავლობაში განათების საშუალებას იძლევა.

– ევროკავშირის ქვეყნებში თუ აპირებთ ქართული პროდუქციის ექსპორტს?

– რატომაც არ უნდა გავიდეს თუნდაც ტელევიზორები ევროპის ქვეყნებში? ხარისხით არავის ჩამოუვარდება და ფასი ექნება დაბალი. ჩვენ ერთი წლის ქარხანა ვართ და ნელ-ნელა ვცდილობთ, ყველაფერს ფეხი ავუწყოთ.

– თქვენ ახსენეთ, რომ ერთი წელია, რაც საქართველოში ეს ქარხანა გაქვთ. რა პრობლემებს წააწყდით ამ ერთი წლის განმავლობაში? როგორ შეაფასებდით ქართულ ბაზარს და რა პრობლემის გამოსწორებას ისურვებდით თქვენ, როგორც ბიზნესმენი?

– პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ ინვესტიცია არ უნდა იბეგრებოდეს. ადრე არც იბეგრებოდა და მერე შემოვიდა ეს ნორმა. მე ქართველი კი ვარ, მაგრამ უცხოური ინვესტიცია მაქვს ჩადებული. რატომ უნდა დავიბეგრო დღგ-თი? ეს ცოტა აბსურდულად მიმაჩნია.

ასევე ეკონომიკის სამინისტრომ უნდა იფიქროს ადგილობრივი საწარმოებისთვის ტენდერებში უპირატესობის მინიჭებაზე. მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, როცა ადგილობრივი საწარმო იღებს ტენდერში მონაწილეობას, გერმანიაში, მაგალითად, 16-ით უნდა მოუგო ადგილობრივ კომპანიას, რომ მოიგო ტენდერი. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებელია.

საქართველოშიც რაღაც მსგავსი კანონი უნდა შემოვიდეს. ეს არის მსოფლიო პრაქტიკა. ის თანხა, რომელიც ქვეყანაში რჩება მოგების გადასახადის სახით, 10%-15%-ს გაცილებით აღემატება. ამიტომ ჯობია, ქართულ საწარმოს მისცე პრიორიტეტი და ზარალი სახელმწიფოს არ დაადგება, სამაგიეროდ, ქართულ საწარმოს ექნება უპირატესობა.

ეს ეკონომიკურადაც გამართლებულია. ტენდერი არ არის მხოლოდ

ერთი მიმართულება, რადგან თანხის მოზიდვა ტენდერით საწარმოს განვითარების საშუალებასაც აძლევს.

– ადგილობრივი წარმოების ხელშესაწყობად სახელმწიფოში არის რამდენიმე პროგრამა, მათ შორის „აწარმოე საქართველოში“. არ არის საკმარისი პროექტები ადგილობრივი წარმოების ხელშესაწყობად?

– ამ პროგრამით რა გაკეთდა, იცით? ძირითადად სოფლის მეურნეობის მიმართულებით ხდება ინვესტიციები. სოფლის მეურნეობა განავითარებს ქვეყანას?!

– გაქვთ კომუნიკაცია ხელისუფლებასთან რაიმე ფორმით? მაგალითად, საქართველოს ბიზნესასოციაცია აწყობს ხოლმე შეხვედრებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

– გვქონდა შეხება ბიზნესასოციაციასთან. ახლა გვინდა ჩამოვაყალიბოთ ქართული ნაწარმის ასოციაცია, სადაც უშუალოდ ჩართულები იქნებიან მწარმოებლები. ქართული ნაწარმის გამოფენა გაიმართება ამ თვეში, სადაც ბევრი ქართველი მეწარმე მოიყრის თავს და მოვილაპარაკებთ ამ საკითხზე.

სალომე მეცხვარიშვილი,
კომერსანტ-გე

მიხეილ დონდუა: „ასეთი ინფლაცია ქადაგიძის ბრალია“

გულიკო ბალაძე

ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს თებერვალში უფლებამოსილება შეუწყდება.

გასული 3 წლის განმავლობაში ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შორის დაპირისპირების არაერთი ფაქტი ვნახეთ გაუფასურებული ეროვნული ვალუტისა და გარკვეული ეჭვების გამო, რაც ლარის შეგნებულ გაუფასურებას უკავშირდებოდა.

20/30-ის წევრ მიხეილ დონდუას განცხადებით, ეროვნულმა ბანკმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა და არ დაარეგულირა ინფლაციის მაჩვენებელი, რაც მისი პასუხისმგებლობაა.

– ბატონო მიხეილ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ ინფლაცია მომავალი წლის პირველ კვარტალში პიკს მიაღწევს. რას ნიშნავს ეს?

– ეროვნულმა ბანკმა ვერ მიაღწია თავის მიზანს, მოიქცა უპასუხისმგებლოდ. ინფლაციის ზედა ზღვარი უნდა ყოფილიყო 5%, ახლა 6,3%-ია და 25%-ით მაღალია იმ პასუხისმგებლობაზე, რა პასუხისმგებლობაც მან აიღო (5%). ახლა 5%-ს ემატება 25%. ქადაგიძემ ვერ მიაღწია ვერცერთ მიზანს. გაუარესდა ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი, გაუარესდა ლარის კურსი, გაუარესდა ინფლაცია, ინფლაციის მიზნობრივი დონე, ზედა ზღვარი.

– ეს ყველაფერი ქადაგიძის ბრალია?

– ქადაგიძემ წინასწარ იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. როდესაც დევალვაცია წავიდა ძალიან დიდ მასშტაბზე, გარდაუვალი იყო ელენერგიაზე ფასების მატება, გამომდინარე დევალვაციიდან. ეს მომენტი უკვე დადგა. ახლა გარკვეული პერიოდია საჭირო, რომ იმავე მაჩვენებელს დავუბრუნდეთ.

– ეროვნულ ბანკს რა უნდა გაეკეთებინა?

– ეროვნულ ბანკს უნდა შეესრულებინა სავალუტო ფონდის რეკომენდაცია, რომელიც მას მოუწოდებდა, შეეზღუდა სამომხმარებლო საცალო სესხები და შემოეღო კონტრციკლური კაპიტალბუფერის რეჟიმი და ისეთი პოლიტიკა ეწარმოებინა, რომელიც ეროვნული ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერას, ეკონომიკის ზრდის განმაპირობებელი მიმართულებების მხარდაჭერას უფრო მეტად უზრუნველყოფდა, ხოლო იმ მიმართულებით, რომელიც ეკონომიკის ზრდასთან კავშირში არ არის და რისკის შემცველია, ნაკლები საკრედიტო მინოდება განეხორციელებინა.

ქადაგიძეს უნდა წარმოედგინა ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, რომელზე დაყრდნობითაც ბიზნესსექტორი და საბანკო სექტორი გააანალიზებდა, თუ რა მიმართულებითაა უკეთესი მათი აქტივობა, რომ საფრთხე არ დადგეს.

– ქადაგიძე ამბობს, რომ ინფლაცია მომავალი წლის მეორე ნახევარში თავის ნიშნულს დაუბრუნდება.

– ინფლაცია მომავალი წლის მეორე ნახევარში თავის ნიშნულს დაუბრუნდება, მაგრამ მანამდე ხომ ვცხოვრობთ ადამიანები? ამაზე პასუხისმგებლობა ეროვნულმა ბანკმა უნდა აიღოს.

* * *

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეთანხმება, რომ 2016 წლის პირველ კვარტალში, სავარაუდოდ, ინფლაციის მაჩვენებელი ცოტა კიდევ უფრო გაიზრდება და მეორე კვარტლიდან უკვე მიზნობრივ მაჩვენებელს უნდა დაუბრუნდეს.

მინისტრის განცხადებით, დღეს ყველაზე მეტი ინფლაცია არის სასურსათო მიმართულებით, მაგრამ ამ კუთხით დღეს არსებული ვითარება და მეზობელ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა უნდა წაეშველოს ჩვენს ბაზარს და ფასების სტაბილიზაცია საკმაოდ მალე უნდა მოხდეს.

ინფლაციამ ფასების მატება გამოიწვია. ქუმსიშვილის თქმით, ფასების მატება ყოველთვის კომპლექსურია და ის დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე. თუ მიწოდების ფასი არის იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ გვინდა, ამ შემთხვევაში გვაქვს ინფლაცია.

– ბატონო მიხეილ, რატომ ეთანხმება ეკონომიკის მინისტრი ქადაგიძეს?

– რაში ეთანხმება?

– ქუმსიშვილი ეთანხმება, რომ პირველ კვარტალში ინფლაცია თავის პიკს მიაღწევს.

– მინისტრი ეთანხმება, რომ სიტუაციაა ასეთი, თორემ ამით იმას კი არ ამბობს, ეროვნული ბანკი სწორად მოიქცაო. ეროვნული ბანკის ცუდი მოქმედების შედეგად პირველი კვარტლის განმავლობაში ინფლაცია მართლა მაღალ დონეზე იქნება, რადგან ეროვნულმა ბანკმა დააგვიანა თავისი მოქმედებები. ამიტომ ინფლაცია გარდაუვალია და ახლაც არის ინფლაცია, დამნაშავე კი ეროვნული ბანკია.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უახლოეს პერიოდში უნდა შეიცვალოს.

– თებერვალში ქადაგიძე უკვე აღარ იქნება.

– დევალვაციის თაობაზე მისი განცხადებები კუდის მოქნევას ხომ არ ჰგავს?

– კუდი მან უკვე მოიქნია – 2015 წლის პირველ ნახევარში ყველაფერი გააკეთა ლარის დევალვაციისათვის. ახლა თითქოს ის აჩერებს სიტუაციას, მაგრამ გაკეთებული აქვს ისეთი საქმე, რომ ლარის კურსი გაფუჭებულია.

2015 წლის პირველ კვარტლამდე ინფლაციასა და ლარის კურსთან დაკავშირებით ველოდით, რომ ის კურსი იქნებოდა შენარჩუნებული. ლარის კურსი დღეს გაფუჭებულია და უარესად აღარ გაფუჭდება, მაგრამ ინფლაცია იქნება მაღალი, ვიდრე 5%-ია პირველი კვარტლის ჩათვლით.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიზანი რა არის, როცა ამას აკეთებს?

– არ ვიცი, მას რა მიზანი აქვს. ის პოლიტიკურად ანგაჟირებული და მოტივირებული პირია, არაერთ საეჭვო მოქმედებაშია შემჩნეული, კავშირშია ნაცმოძრაობასთან. შესაბამისად, ყველა მისი ნაბიჯი დაგვიანებულია.

– რა საეჭვო მოქმედებებშია გარეული ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ქადაგიძე?

– რამდენიმე ფაქტია. ვთქვათ, იმავე ქართუსთან, სტანდარტბანკთან, სახალხო ბანკთან დაკავშირებით მის მიერ განხორციელებული მოქმედებები, დევალვაციის საკითხის მოუგვარებლობა და ლარის კურსის მიღება. მთელი მოქმედებათა კრებულია.

– ანუ ეს არის ის ფაქტები, რომლებიც ხელისგულზე დევს?

– დიახ, დანარჩენი პროკურატურის საქმეა.

– არის ეჭვები, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ფარული საეჭვო მოქმედებები ჰქონდეს?

– შეიძლება ჰქონდეს.

რა საჭიროა ანტიდემპინგური კანონი?!

ლალი დავითური

ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომ ანტიდემპინგური კანონი ქვეყანას აუცილებლად სჭირდება.

ანტიდემპინგური კანონის მიღებაზე უკვე კარგა ხანია მსჯელობენ. ხელისუფლების განცხადებით, ამ კანონმა უნდა დაიცვას ქართული წარმოება არასამართლიანი კონკურენციისგან და ხელი შეუწყოს ქართული ბიზნესის განვითარებას.

ანტიდემპინგური კანონი იმპორტიორებს უკრძალავს პროდუქციაზე შიდა ბაზრის ფასებთან შედარებით მკვეთრად დაბალი ფასების დაწესებას, რადგან ასეთი ქმედების მიზანი ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი კომპანიების ჩაძირვაა.

რამდენად საჭირო და აუცილებელია ამ კანონის მიღება?

ამაზე „ახალმა თაობამ“ კომენტარი სთხოვა პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძეს.

– ბატონო მალხაზ, რა აზრის ხართ ანტიდემპინგური კანონის მიღების შესახებ?

– გააჩნია, როგორ შეეხება ეს კანონი ფქვილის იმპორტს. დღეს შემოტანილი ფქვილი უფრო იაფია, ვიდრე ადგილობრივი წარმოების. ამის ხარჯზეა, რომ დღემდე ფასი უჭირავს პურს.

მესმის, რომ აუცილებელია ადგილობრივი წარმოებისთვის ხელის შეწყობა, მაგრამ თუ შემოტანილი ფქვილის ფასი გაიზარდა, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება პურის ფასის შენარჩუნება.

საქართველოში ხორბლის გადამუშავების ხარჯები არის ძალიან გაზრდილი და რომელი ფასია დემპინგური და რომელი არა, ეს როგორ და ვინ უნდა დაადგინოს?

ბიზნესმენი რევაზ ვაშაკიძე ამბობს, რომ ეს კანონი იქნება თუ არა, მწარმოებელმა უნდა შეძლოს კონკურენტული პროდუქტის გამოშვება.

– თუ ადგილობრივი პროდუქტი ხარისხიანი და კონკურენტუნარიანია, ის თავისუფლად გაუწევს კონკურენციას იმპორტულს. გიჟი არავინ არის, რომ თავისი პროდუქტის ფასი ღირებულებაზე დაბლა დაწიოს, – აცხადებს ბიზნესმენი.

მისი აზრით, საქართველო არ არის ისეთი დიდი ბაზარი, რომ მის ხელში ჩასაგდებად რომელიმე ბიზნესმენმა განგებ დაწიოს თავის პროდუქტზე ფასი.

– თუ ვინმეს პროდუქცია უფრო იაფია, ე.ი. ის ან უფრო ახალ ტექნოლოგიებს იყენებს, ან უფრო იაფი მუშახელი ჰყავს და ამიტომ უჯდება იაფი თავისი პროდუქტი. კონკურენცია აუცილებელია წარმოების განვითარებისთვის, – აღნიშნავს რევაზ ვაშაკიძე.

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

იღაღადეთ ფუძის ქვანო!

შოთა ნიშნიანიძე

თავს უფლებას მივცემ, შეგახსენოთ რიტორიკის დაუწერელი კანონი საუბრის დასაწყისისა და დამთავრების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ.

სტერეოტიპებს მხოლოდ ნაწილობრივ ვაღიარებ, ამიტომ პირდაპირ გეტყვით: თუ ხელისუფლებაში დაბრუნებას არ აპირებთ, თქვენგან ამ წერილის წაკითხვას აზრი არა აქვს.

მე კი მაინც გავაგრძელებ ჩემი ფიქრების ქაღალდზე გადმოტანას, რადგან ამ წერილს განვიხილავ, როგორც მიმართვას ქართველი ერისადმი.

ჩემს ერთ-ერთ წერილში თქვენი მოტრიალება პოლიტიკაში კრომველის დაბრუნებას შევადარე, – ღმერთმა დაგვიფაროს.

თქვენს ნორმალურ დაბრუნებას კი პოლიტიკაში ვისურვებდი, როგორც რიგითი მოქალაქე... მეტიც: მზად ვარ, გვერდში დაგიდგეთ და დაგეხმაროთ. თუმცა, იმდენი დახმარების მსურველი გყავთ, არა მგონია, ჩემთან თანამშრომლობა ისურვოთ.

მეორე მხრივ, თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ჩემი ხედვების წინასწარ ჩამოყალიბება, რათა გამოირიცხოს ჩემ მიერ კარების მწარე გაჯახუნება მომავალში.

ბატონო ბიძინა!

ყოველგვარი აპლომბის გარეშე გეტყვით: მეგობრობაც ვიცი და მისი მოთხოვნებიც; ფერების გარჩევაც და თავგანწირვაც, მაგრამ ჩემი უპირობო ერთგულება მხოლოდ სამშობლოს ეკუთვნის. გაკეთებულ საქმეებსაც ვხედავ და შეცდომებსაც. მიუხედავად ამისა, ამ წერილში არც ხოტბა იქნება და არც უსაშველო კრიტიკა. უბრალოდ, რეალობის დანახვას შევეცდები, ჩემი ტკივილიდან გამომდინარე.

მილიონნახევარზე მეტი ქართველი ისევ უცხოეთშია და აქ დარჩენილი მეორე მილიონნახევრის გამოკვებას ცდილობს. ესე იგი, საქართველო ისევ გადარჩენის სტადიაშია.

სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ჯარის შექმნა და რეფორმების გატარება შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნიდან გასული ქართველების ღვაწლის გარეშე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი: ქართული გენეტიკური მახსოვრობა მუშაობს მხოლოდ აქ, ქართულ მიწაზე, ქართველი ანთეოსს ჰგავს, მის გასანადგურებლად მშობლიური მიწისგან მოწყვეტა და სხვაგან გადაგდებაა საჭირო. იქ კი, მესამე თაობა, უკვე აღარ იქნება ქართველი.

გადახვეწილ ქართველთა გადაჯიშებას ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე ნორმალური ქვეყნის შექმნას. ამ მოსალოდნელი დიდი უბედურების ხაზგასმა მინდა.

მომაკვდინებელი ნოსტალგია გადახვეწილთა მხოლოდ პირველ თაობას ტანჯავს, – არ დაგვავიწყდეს.

თვითგადარჩენის ინსტინქტი მუშაობს. ქვეყანა იბრძვის, რაღაცას აკეთებს. ნატოში შესვლაც, თითქოსდა, ქვეყნის გადარჩენის მიზანს ემსახურება!..

რაც შეეხება ნატოს.

ადამიანი კვდება და სიტყვა რჩება. საქართველოს, ამ ეტაპზე, ჰაერივით სჭირდება ნატოში გაწევრიანება, მაგრამ მოვა დრო და ჩვენი ქვეყანა მწარედ ინანებს ამ ნაბიჯს.

ნატო იმისია, რომ დაძაბულობის დროს დაგიცვას, მაგრამ მისი მოქმედება ელემენტარული იქნება. საქართველოში შემოვა ამ ორგანიზაციის ქვეყნის ჯარი, ქვეყნისა, რომელიც უახლოეს წარსულში ჩვენი დამპყრობელი და დაუძინებელი მტერი იყო. ლაპარაკია თურქეთზე. ვინმე შეძლებს თურქეთის მიერ დაცული საქართველოს წარმოდგენას?! (ყურში ჩამესმის ეგრეთწოდებულ პოლიტიკოსთა ქირქილი, რომელთაც სამზერი ჰორიზონტი ცხვირწინ უმთავრდებათ და საქართველო ფეხზე ჰკიდიათ).

ნატოში კი, ეტყობა, მაინც მიგვიღებენ. ახლა ჩვენი ქვეყანა ტორეადორის წითელ ნაჭრად უქცევია რუსეთსა და ამერიკას და ერთმანეთს უფრიალებენ. ეს დრო დამთავრდება.

ისე, უპრიანია გვახსოვდეს, მსოფლიო ომი პატარა ქვეყნის მიზეზითაც დაწყებულა.

მე კი, როგორც პირველი ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელს, ისღა დამრჩენია, ბოდიში მოვუხადო შთამომავლობას ნატოში მოსალოდნელი გაწევრიანების გამო. მაპატიეთ, ახლა სხვა გამოსავალი არ არის. რუსეთს რომ სახელმწიფოებრივი მეზობლობის (მეგობრობას რომ თავი დავანებოთ) შეგრძნება ჰქონდეს, ქართველი სხვაგან არ გაიქცეოდა.

და მაინც ყველაფერი უნდა ვიღონოთ რუსეთთან რაღაც დონეზე ურთიერთობის აღსადგენად.

ბატონო, ბიძინა!

„უპოვართა და გლახაკთა მეფეს“ ჩვენზე მეტად უჭირდა (სხვადასხვა დროების შედარება შესაძლებელია, რადგან აღზევება და დაცემა, წარმატება-წარუმატებლობა, გამარჯვება და დამარცხება მარადიული მცნებებია), მაგრამ მან – დავითმა, გვერდზე ამოიყენა ეკლესია და აუცილებელი მტკივნეული „რეფორმების“ შემდეგ ააღორძინა პატრიოტიზმი.

პატრიოტიზმის აღორძინება შედარებით ადვილია, რადგან გენეტიკური მახსოვრობა მუდმივად დუღს, თუნდაც მთვლემარე ქართველის გონებაში. საკმარისია, გამოჩნდეს რომელიმე თავგანწირული ლიდერი, წკიპურტებივით შემოკრას ამ გენეტიკურ მახსოვრობას და შედეგი გადმოიღვრება ქსნის ერისთავების აჯანყების, 9 აპრილის, ეროვნული მოძრაობის აფეთქების სახით.

შიშველი პატრიოტიზმი სახიფათოა. ის განათლებასთან შეთავსებას მოითხოვს (რისთვისაც იბრძოდა დიდი ილია). საბედნიეროდ, განათლების დონე დღევანდელ საქართველოში საკმაოდ მაღალია, სამაგიეროდ, პატრიოტიზმი აქციეს ცუდ ტონად შევარდნაძემ და სააკაშვილმა.

ზემოთ ილია ვახსენეთ და უნდა ითქვას, ზოგიერთი ვაი პოლიტიკოსის აზრით, ილია არ იბრძოდა, თურმე, დამოუკიდებლობისათვის.

ეს არ არის მართალი. პირველ ეტაპზე ილიას მიერ ავტონომიის მოთხოვნა დროის მოგებას ემსახურებოდა. ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდობას ევროპული განათლება უნდა მიეღო, ზიარებოდა ქართული არსისათვის მისაღებ ჭეშმარიტ ღირებულებებს, რაც შესაძლებლობას მისცემდა, არიდებოდა ამორალურ გადახრებს, რასაც, პირადად მე, ცივილიზაციის ბინძურ ნარჩენებს ვუწოდებ.

„ბინძური ნარჩენები“ იქით იყოს და ნება მიბოძეთ, ადამიანის განადგურების ტიპური რუსული მოდელიც შეგახსენოთ.

... ზოგიერთი მოსაზრებით, ჩვენი ნათესავის, დიდი შამილის დატყვევებულმა შვილმა ვერ გაუძლო პეტერბურგის ხიბლს და რუსული ცივილიზაციის წუმპეში ჩაეფლო.

მოგვიანებით, როცა ის მამას გაუცვალეს სხვა ტყვეებში, ეს ახალგაზრდა ჯამალ ედ დინი, რუსეთის დაუნდობელი მტრის შამილის შვილი, ნოსტალგიამ მოკლა კავკასიის მთებში – პეტერბურგელი სეფექალებისა და ბალების ნოსტალგიამ.

სეფექალი კარგია, მაგრამ არა სამშობლოს ხარჯზე.

ნამდვილ ადამიანს საკუთარ აზროვნებაში დავანებული დიქტატურა სჭირდება. ის სრულად უნდა ბატონობდეს საკუთარ გონებასა და სხეულზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს პიროვნება, იცოცხლოს სხვა ადამიანებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ეს იცის ნებისმიერმა, ვისაც მისტიკასთან ოდნავი შეხება ჰქონია, ან დაბადებით არის ზედმიწევნით ზნეობრივი.

საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ ოჯახის, როგორც ქვეყნის საყრდენის, სიმტკიცე – ერთი მხრივ და ბერად აღკვეცის ინსტიტუტი – მეორე მხრივ. აქ ეყრება საფუძველი განათლების, პატრიოტიზმის, ჭვრეტისა და თავგანწირვის უნარს.

ზოგიერთს თავგანწირვა ის ჰგონია, ერთიორჯერ ქვეყნის ინტერესები საკუთარზე წინ თუ დააყენა. ეს ხიბლია და მეტი არაფერი. აქედან ერთი ნაბიჯია ღალატამდე.

საუბედუროდ, მუდმივად „უმცროსი ძმის“ როლში გვიწევს ყოფნა. თუკი მძაფრი პატრიოტიზმი დაგვიწუნეს ახალმა უფროსმა ძმებმა (Sic!), ღირსების დაცვით უნდა ავუხსნათ, რომ სხვა ერების დასაფასებლად და პატივსაცემად საკუთარი ერის სიყვარულია აუცილებელი. კოსმოპოლიტიზმი დაღუპავს კაცობრიობას.

მძაფრ სიყვარულზე დაფუძნებული ცოდნა და პროფესიონალიზმი გვჭირდება, განსაკუთრებით ახლა, როცა გამოჩნდა შეუჩერებელი ზვავი – ჩინეთი, რომელიც აუცილებლად გადაუვლის მსოფლიოს (ისევ მესმის იმ წუპაკი მამაძაღლების ქირქილი). მისი შემჩერებელი არ არის ამერიკა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. მხოლოდ იაპონიას გააჩნია მცირედი შანსი, ისტორიის გათვალისწინებით.

მე ვერავინ მასწავლის ინვესტიციების აუცილებლობას, მაგრამ, როცა ოქროთი და მოფერებით გადაყლაპვას გიქადიან, ცნობიერება მაინც უნდა გააღვიძო.

ჩვენი ყველა დამპყრობელი ველური იყო, ირანის გარდა – ეს აადვილებდა მათთან ბრძოლას.

ახლა მოდის უდიდესი ცივილიზაციისა და ისტორიის მატარებელი ერი. მოდის ოქროთი, ღიმილითა და მოფერებით. ისინი მართლა ბევრს გააშენებენ, მაგრამ ეს იქნება მათი და არა ჩვენი. ვინც ამას ვერ ხედავს, დიახაც, საცოდავია.

ჩინეთის ცბიერებასთან ბავშვური თამაშია ანალოგიების მოყვანა. მას ვერც შეედრება ისპაჰანის, მოსკოვისა და ლუვრის სასახლეების ინტრიგები.

ჩვენი ქვეყანა ჩამოყალიბებული რომ იყოს, კიდევ – ჰო.

ზვიად გამსახურდიას თავისი მცველისათვის და უერთგულესი მეგობრისთვის სოსო თორიასთვის უთქვამს თურმე: ორიოდე წელი თუ დაგვცალდა, მომავალი საქართველოს კარგ ფუნდამენტს ჩავყრითო.

ერთი წელიც არ დააცადეს და უფსკრულში გადაჩეხეს საქართველო. საოცარ სინქრონში მოქმედებდნენ მაშინ რუსეთი, ამერიკა და ქართული მე-5 კოლონა.

შედეგების აღმოფხვრას გარკვეული დრო კიდევ დასჭირდება.

ბატონო, ბიძინა!

ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდეთ. ააღორძინოთ პატრიოტიზმი და ასეთ შემთხვევაში, გვერდშიც დაგიდგებიან და შეცდომებსაც გაპატიებენ. დიახაც, თავგანწირვისკენ მოგიწოდებთ. რახან ტვირთი აიღეთ, ბოლომდე ატარეთ. რას იზამ, იმ კლასიკოსისა არ იყოს, ქართველობა მართლა ძნელია.

ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება“ საუკეთესო იდეოლოგიური ფორმულა იქნება ამ შემთხვევაში, თუ ქვეყანა პროქართულ ორიენტაციას აირჩევს. ეროვნულ შეძახილად კი გამოდგება ათასჯერ გამოყენებული, მაგრამ აბსოლუტურად გაუცვეთავი ფრაზა: საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

გულწრფელად ვალტერ შურღაია

1961-62; 1992; 1994-2000 წლების პოლიტპატიმარი, ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის შემქმნელი და პირველი თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ხელისმომწერი.

P.S. მიმდინარე მოვლენებს შეგნებულად არ ვეხები, ოღონდ აუცილებელია ითქვას ორიოდე სიტყვა ჩვენს თანამემამულეთა სულიერ მდგომარეობაზე, რომელიც სარკისებურად არის ასახული სოციალურ ქსელებში.

ბოღმა, შური, სიძულვილი, თანამოსაუბრის დაუნდობლობა, ჭორების სინამდვილედ გასაღება, დამარცხებულის გულგრილად დასამარება, – აი, ჩვენი საზოგადოების შინაგანი სახე, აი, ინტერნეტსივრცის უკონტროლო ასპარეზის გამოყენება მოწოლილი ვნებების გადმოსაფრქვევად.

დავიდოთ გულზე ხელი, – ეს ასეა და მცირერიცხოვან წესიერ ინტელიგენტთა უმწეო გაბრძოლება რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამ ხალხს ან დიდი პატრიოტიზმის აღორძინება გააერთიანებს, ან დიდი კატაკლიზმი, რომელსაც ეს საცოდავი ქვეყანა ვერ აიტანს.

არ დაგვავიწყდეს მერაბ კოსტავას ტკივილიანი შეძახილი ერთმანეთის ხელის ცეცებით ძებნის შესახებ.

დაწერილია 15 ოქტომბერს

შს მინისტრი აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს ეწვია

საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ამერიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, გიორგი მღებრიშვილმა შეხვედრა გამართა აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს უფროსთან, სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბრაუნფილდთან.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს შორის არსებული თანამშრომლობის სფეროები, მიღწეული პროგრესი და სამომავლო გეგმები განიხილეს.

– ყველაზე ძლიერი იარაღი ესაა განათლება, ამიტომ ჩემი მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტია შსს-ს აკადემიის განვითარება და მისი რეგიონალურ ცენტრად გარდაქმნა, რაც ჩვენი სისტემის კიდევ უფრო გაძლიერების არსებითი პირობაა, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

მინისტრმა ასევე ისაუბრა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამასა და მის მნიშვნელობაზე.

შს მინისტრმა ხაზი გაუსვა მრავალწლიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროსთან (INL), რომელიც აქტიურად ეხმარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით რეფორმების განხორციელებაში.

აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს, უწყების განვითარების პროცესში საკუთარი წვლილი მომავალშიც შეიტანონ, მხარი დაუჭირეს დაგეგმილ რეფორმებს და შემუშავებული პროექტების დეტალებით დაინტერესდნენ.

– ჩვენ მივესალებით თქვენი უწყების გაყოფას და მიგვაჩნია, რომ ასეთ პირობებში შინაგან საქმეთა სამინისტრო ბევრად უფრო ეფექტური იქნება. მე ამაყი ვარ ჩვენი საერთო მიღწევებით და ჩვენი სურვილია, რომ ეს ურთიერთობები გაღრმავდეს და კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდეს, – განაცხადა უილიამ ბრაუნფილდმა.

შეხვედრის ბოლოს მხარეებმა სამომავლო გეგმები განიხილეს და 2016 წელს განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს. შს მინისტრმა ამერიკელი კოლეგა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მოიწვია.

შსს-მ სოციალურ ქსელ facebook.com-ის მომხმარებლების გვერდებზე უნებართვო შეღწევისა და ე.წ. ფიშინგ ვებგვერდის დამზადების ფაქტები გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ მოპოვების, შენახვის და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის მიზნით, სოციალური ქსელი „facebook"-ის ავტორიზაციის მსგავსი ვებგვერდის – ე.წ. ფიშერის დამზადების, აღნიშნული ფიშერისა და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით სოციალური ქსელი „facebook"-ის სხვადასხვა მომხმარებლის პროფილებზე უკანონო შეღწევის ფაქტზე, 1992 წელს დაბადებული ვასილ ქ. და 1983 წელს დაბადებული რაინდი კ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვასილ ქ-მ მიმდინარე წლის თებერვალში, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის და სხვისი კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ მოპოვების მიზნით, სოციალური ქსელი „facebook"-ის ავტორიზაციის მსგავსი ვებგვერდი დაამზადა დომეინით – htt://facebook-photos.ga/gggg44. ამის შემდეგ, ვასილ ქ. სოციალურ ქსელ „facebook"-ში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შინაარსის პოსტებს ათავსებდა, სადაც ბმულის სახით მის მიერ დამზადებულ ვებგვერდს უთითებდა.

დაინტერესებული მომხმარებელი აღნიშნული პოსტის გახსნის შემთხვევაში, ბმულზე გადასვლისას, ვასილ ქ-ს მიერ დამზადებულ ყალბ გვერდზე ხვდებოდა, სადაც ხელახალი ავტორიზაცია უნდა გაევლო.

ავტორიზაციისას „facebook"-ის მომხმარებლის სახელი, პაროლი იგზავნებოდა და ინახებოდა ვასილ ქ-ს მიერ ვებჰოსტინგზე სპეციალურად შექმნილ ფაილებში. გამოძიების მსვლელობისას, აღნიშნულ ფაილებში აღმოჩენილია „facebook.com"-ის 1.010 მომხმარებელის სახელი და პაროლი.

უკანონოდ მოპოვებული, ზემოხსენებული მონაცემების გამოყენებით, ვასილ ქ. უნებართვოდ აღწევდა სოციალური ქსელი „facebook"-ის მომხმარებელთა გვერდებზე და აღნიშნულ მომხმარებლებს მის მიერ სპეციალურად, რეკლამების განთავსების მიზნით შექმნილ ჯგუფში უნებართვოდ ამატებდა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ რაინდი კ-მ, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, უკანონოდ მოიპოვა, შეაღწია და დაშვების პაროლები შეუცვალა „facebook.com"-ის მომხმარებლებს.

აღნიშნული მომხმარებლების სახელით, მათი პროფილებიდან რეკლამებს პოსტავდა, რაშიც რეკლამის დამკვეთისაგან ანაზღაურებას იღებდა. რაინდი კ-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებულ კომპიუტერულ სისტემებში აღმოჩენილია უკანონოდ მოპოვებული, „facebook.com"-ის 1.210 მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ამჟამად მიმდინარეობს სოციალური ქსელი „facebook.com"-ის მომხმარებლებისთვის პროფილების დაბრუნება.

გამოძიებას აწარმოებს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის 1-ლი, 158-ე მუხლის 1-ლი და 285-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით და 286-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით.

აფეთქება მოსკოვის ცენტრში

7 დეკემბერს, ღამით, მოსკოვის ცენტრში აფეთქება მოხდა.

ინციდენტი პოკროვკას ქუჩაზე, ავტობუსის გაჩერებასთან მოხდა. გაჩერებაზე მდგომი ადამიანების მიმართულებით ფ-1 ხელყუმბარა ისროლეს.

დაშავდა 5 ადამიანი. 4 მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება ხულიგნობის მუხლით მიმდინარეობს.

თურქეთი რუსეთს სანქციებით ემუქრება

გუშინ, 8 დეკემბერს, თურქეთის პარლამენტში გამოსვლისას ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ ანკარა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს განიხილავს.

– რუსეთის მიერ შემოღებული ემბარგო წინააღმდეგობრივია, რადგან მის მიმართ ასეთივე ზომები მოქმედებს. ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ რუსეთთან ყველა საკითხი, მაგრამ მის დიქტატს ვერ ავიტანთ, – განაცხადა დავუთოღლუმ.

მისი თქმით, თურქეთი არ არის ის ქვეყანა, რომელსაც შეიძლება, ზიანი მიაყენო.

– თურქეთი ამუშავებს ალტერნატიულ გეგმებს. ჩვენ ნებისმიერი ვითარებისთვის მზად ვართ, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხი 7 დეკემბერს მთავრობის სხდომაზე განიხილეს, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღიათ.

რუსეთმა თურქეთთან სამხედრო კონტაქტები უკვე გაწყვიტა და უვიზო რეჟიმიც გააუქმა. გუშინ კი რუსეთის მთავრობამ იმ თურქული პროდუქციის ჩამონათვალი დაამტკიცა, რომლის რუსეთში იმპორტიც აიკრძალება.

სიაში მოხვედრილი სოფლის მეურნეობის, ნედლეულისა და მრეწველობის პროდუქცია რუსეთში 2016 წლის 1 იანვრიდან ვეღარ შევა. ამავდროულად, რუსეთმა თურქეთთან უვიზო რეჟიმი გააუქმა, რომელიც ძალაში 1 იანვრიდან შევა.

ხოდორკოვსკის ბრალს პეტუხოვის მკვლელობისთვის წაუყენებენ

კომპანია იუკოსის ყოფილ მფლობელსა და რუს ოპოზიციონერ მიხაილ ხოდორკოვსკის 1998 წელს ნეფტეიუგანსკის მერის, ვლადიმირ პეტუხოვის, მკვლელობის საქმეში მონაწილეობისთვის, რამდენიმე დღეში ბრალს წაუყენებენ.

ხოდორკოვსკი 11 დეკემბერს საგამოძიებო კომიტეტში დაკითხვაზე დაიბარეს. უწყება ხოდორკოვსკის მამას, ბორისს, მიუვიდა.

ამის შესახებ ხოდორკოვსკიმ თავის ტვიტერში დაწერა. მან გამოაქვეყნა უწყება, რომელშიც წერია, რომ 11 დეკემბერს მას წაუყენებენ ბრალს, რისთვისაც ამ დღეს, დილის 10 საათზე, ის უნდა გამოცხადდეს საგამოძიებო კომიტეტში.

ბიზნესმენის პრესსპიკერის განცხადებით, ხოდორკოვსკი რუსეთის საგამოძიებო კომიტეტთან თანამშრომლობას არ გეგმავს.

ამჟამად ხოდორკოვსკი შვეიცარიაში ცხოვრობს.

ნეფტეიუგანსკის მერი, ვლადიმერ პეტუხოვი, 1998 წელს მოკლეს.

მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე იუკოსის ხელმძღვანელობასთან, მათ შორის ხოდორკოვსკისთან, მას უთანხმოება მოუვიდა. 2007 წელს პეტუხოვის მკვლელობაში დამნაშავედ იუკოსის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ალექსანდრე პიჩუგინი ცნეს.

მიხაილ ხოდორკოვსკი გადასახადების დამალვისა და გაფლანგვის ბრალდებით სასჯელს 10 წლის განმავლობაში იხდიდა. 2013 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხოდორკოვსკი შეიწყალა. ბიზნესმენმა რუსეთი დატოვა და საცხოვრებლად შვეიცარიაში გადავიდა.

პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა გუშინ განაცხადა, რომ შეწყალებისას პრეზიდენტ პუტინს არ ჰქონდა ის მონაცემები, რომლებიც დღეს გამოძიებას გააჩნია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები. კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

რუსებმა სამხედრო დანიშნულების კოსმოსური თანამგზავრი დაკარგეს

ამ სამხედრო დანიშნულების კოსმოსურ თანამგზავრს რუსეთი ათ წელზე მეტი ხანია ამზადებდა.

რუსეთის მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი 2 დღის განმავლობაში ავრცელებდა ინფორმაციას, რომ 5 დეკემბერს არხანგელსკის ოლქში მდებარე კოსმოდრომ პლესეცკიდან გაშვებული 2 სამხედრო დანიშნულების კოსმოსური თანამგზავრიდან ერთ-ერთს სერიოზული პრობლემები შეექმნა. მან ვერ შეძლო ახალი მოდიფიკაციის ამაჩქარებელ ბლოკ ვოლგასგან განცალკევება.

გუშინ რუსულმა მედიამ, რუსეთის კოსმოსური მართვის სააგენტოსთან დაახლოებულ პირზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის კოსმოსური მართვის სააგენტომ გადაწყვიტა დაზიანებული თანამგზავრისა და ამაჩქარებელ ბლოკ ვოლგას ორბიტიდან მოხსნა და მისი შემდგომი განადგურება დედამიწის ატმოსფეროში შეყვანისა და ოკეანეში ჩაძირვის გზით.

ამ სამხედრო დანიშნულების კოსმოსურ თანამგზავრსა და ამაჩქარებელ ბლოკს რუსეთი 10 წელზე მეტი ხანია, ამზადებდა.

განცხადებები

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.

ლამარა თოდუა:

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს", ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია".

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ჩელსი-პორტუ — მოურინიო ყოფილი კლუბის წინააღმდეგ

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მატჩები.

ე ჯგუფი

ლევერკუზენი-ბახსელონა 3.8 3.5 1.95

გერმანელებს მინიმალური შანსი აქვთ პლეი ოფში გავიდნენ: ბარსელონას უნდა მოუგონ და რომამ შინ ვერ უნდა მოუგოს ბატეს – ეს აღბათ ფანტასტიკის სფეროა. ასევე ფანტასტიკის სფეროა, რომ გერმანელებმა ევროპის ლიგაზე არ გადაინაცვლონ.

გუნდებს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებთ: აქამდე 9-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და კატალონიელთა უპირატესობა აშკარაა. ბარსელონამ 6 მატჩი მოიგო, 1 ფრედ დასრულდა და ორჯერ იმარჯვა ლევერკუზენმა.

ფარმაცევტები უდანაკარგოდ ხვდებიან ბარსელონას, რომელიც დისკვალიფიცირებულ დანი აღვეშთან ერთად ტრავმირებულ რაფინიას მოისაკლისებს.

ჰომა-ბატე 1.3 5.0 11.0

რომაელებს პლეი ოფში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ ასე რომ გაირთულეს საქმე, სწორედ ბორისოველთა დამსახურებაა. ბატემ პირველი მატჩი 3:2 მოიგო.

ბატეს შანსები მინიმალურია, მაგრამ მებრძოლი გუნდია და შეუძლია სიურპრიზები. რამდენად მოახერხებენ ამას გადამწყვეტ მატჩში, დღეს გამოჩნდება.

რომა ფრანჩესკო ტოტისა და მოჰამედ სალაჰს მოისაკლისებს, ბელორუსელები კი საბრძოლო შემადგენლობით არიან ჩასული იტალიის დედაქალაქში.

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	5	4	1	0	14:3	13
2.რომა	5	1	2	2	11:16	5
3.ლევერკუზენი	5	1	2	2	12:11	5
4.ბატე	5	1	1	3	5:12	4

ფ ჯგუფი

ოლიმპიაკოსი-არსენალი 3.4 3.5 2.1

ჯგუფის უმნიშვნელოვანესი მატჩი. არსენალმა საქმე სტარტზე ზედიზედ ორი წაგებით გაირთულა. აქედან ერთი სწორედ ოლიმპიაკოსთან შინ წაგებული შეხვედრაა. ამასთან, არცთუ სახარბიელო ანგარიშით – 2:3. ეს ნიშნავს, რომ არსენალმა 2 ბურთის სხვაობით უნდა დაამარცხოს მეტოქე, ანაც 3 და მეტი ბურთი უნდა გაიტანოს ბერძენთა კარში და მოიგოს.

ორბურთიანი სხვაობის რა მოგახსენოთ და არსენალს პირეოსში თამაში ისტორიულად უჭირს. ლონდონელები აქამდე 3-ჯერ სტუმრობდნენ ოლიმპიაკოსს და სამივეჯერ დამარცხებულნი დაბრუნდნენ სამშობლოში. და ეს შორეულ წარსულში არ მომხდარა – 2009 წლიდან 2012 წლამდე.

პლუს პირეოსელები უდანაკარგოდ დაუხვდებიან მეტოქეს, ხოლო არსენალს ლაზარეთი აქვს გახსნილი. ტრავმირებულნი არიან ალექსის სანჩისი, მიკელ არტეტა, სანტი კაზორლა, ტომაშ როსიცკი, დენი უელბეკი და ჯეკ უილშირი.

დინამო(ზ)-ბაიერნი 11.0 5.0 1.3

ეს მატჩი არაფერს წყვეტს. ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, დინამო ბოლოზე დარჩება, ბაიერნი – პირველზე. ბაიერნმა შინ 5:0 მოიგო და ეს ამ გუნდების ერთადერთი ურთიერთშეხვედრაა.

მასპინძლები არმინ ჰოძიჩს ტრავმის გამო მოისაკლისებენ. ამავე მიზეზით მატჩს გამოტოვებენ დავიდ ალაბა, მეჰდი ბენატია, მარიო გიოტცე, ხუან ბერნატი და ტიაგო ალკანტარა, ხოლო ჰოლგერ ბადშტურბერი ტრავმირებულია.

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	5	4	0	1	17:3	12
2.ოლიმპიაკოსი	5	3	0	2	6:10	9
3.არსენალი	5	2	0	3	9:10	6
4.დინამო	5	1	0	4	3:12	3

გ ჯგუფი

ჩელსი-პორტუ 2.0 3.1 4.2

ალბათ ტურის მატჩი. ჟოზე მურინიო თავისი პირველი გუნდის წინააღმდეგ. თუ კიევის დინამო მოიგებს, რაც ძალიან სავარაუდოა, ამ მატჩში წაგებული ლიგას დაემშვიდობება, ფრე ჩელსის აწყობს. შესაბამისად, პორტუს მხოლოდ მოგება სჭირდება.

ფრეს შემთხვევაში, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ სამმა გუნდმა ერთნაირი ქულები დააგროვოს. ურთიერთშეხვედრებით უპირატესობა ჩელსისა და დინამოს ექნებათ. ამიტომ საინტერესო და დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი.

არადა, ამ გუნდების პირველი მატჩი პორტუმ 2:1 მოიგო, მაგრამ შესაძლოა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდეს. სრული ურთიერთშეხვედრებით ჩელსი ჯაბნის მეტოქეს – 4 მოგება, 1 ფრე და 2 მარცხი.

ჩელსი ყოფილ პორტუელს, რადამელ ფალკაოს მოისაკლისებს, ხოლო პორტუ ოსვალდოს გარეშე ითამაშებს.

დინამო(კ)-მაჯაბი 1.17 7.0 17.0

დინამო ლიგის უსუსტეს გუნდს ხვდება და ალბათ მოგება არ გაუჭირდება. პირველი მატჩი კიეველებმა სტუმრად 2:0 მოიგეს. არადა, 2011 წელს, ასევე ჯგუფურ ეტაპზე, ამ გუნდებმა ორივეჯერ ფრედ ითამაშეს ერთმანეთში.

დანაკლისი ებრაულ გუნდს აქვს: დისკვალიფიცირებულია ტალ ბენ ჰაიმი, ხოლო დეიან რადონოვიჩს ტრავმა აწუხებს.

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	5	3	1	1	11:3	10
2.პორტუ	5	3	1	1	9:6	10
3.დინამო	5	2	2	1	7:4	8
4.მაკაბი	5	0	0	5	1:15	0

ჰ ჯგუფი

გენტი-ზენიტი 2.3 3.2 3.2

ზენიტი უკვე პლეი ოფშია და გენტს შანსი აქვს, გაჰყვეს სანკტპეტერბურგელებს. ეს თუ მოხდა, იქნება ჯგუფის სენსაცია, რადგან ამ კომპანიაში ბელგიელები აუტსაიდერებად მიიჩნეოდნენ.

თუმცა, ბელგიელები ზენიტის უმოტივაციობის იმედად არ უნდა იყვნენ, რადგან რუსულმა კლუბმა ასევე უმოტივაციოდ მოუგო ვალენსიას.

საერთოდაც, ზენიტს ყველა მოგება აქვს (მათ შორის, ერთი გენტთან 2:1) და ბელგიელებთან გამარჯვების შემთხვევაში შეუერთდება იმ გუნდებს, რომლებმაც ჯგუფში უდანაკარგოდ გაიარეს.

ერთია, რუსები გენტს მათივე თანამემამულის, ალექს ვიტცელის (დისკვალიფიკაცია) და ვიქტორ ფაიზულინის (ტრავმა) ეწვივნენ.

ბელგიელები ტომას მატონს მოისაკლისებენ, რომელმაც სანკტ პეტერბურგში წაგებულ მატჩში გოლი გაიტანა.

ვალენსია-ლიონი 1.44 4.5 7.0

ვალენსია თავის და ზენიტის იმედად არის. სავარაუდოდ, ვალენსია მოიგებს, რადგან ლიონი უმოტივაციოდ არის და სტატისტიკურადაც აგებს ვალენსიასთან. აქამდე ჩატარებულ 3 მატჩში ესპანელებმა სამივე მოიგეს.

დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ორივე გუნდს ჰყავს: ვალენსიას რუბენ ვეზო დააკლდება, ლიონს – ჯორდან ფერი.

არიან ტრავმირებულებიც: ალვარო ნეგრედო, პაბლო პიატი, ანტონიო ბარაგანი, შკოდრან მუსტაფი, როდრიგო (ვალენსია), ალდო კალულუ, კრისტოფერ ჟალე, სამუელ უმტიტი (ლიონი).

სატურნირო ცხრილი:

1.ზენიტი	5	5	0	0	12:4	15
2.გენტი	5	2	1	2	6:6	7
3.ვალენსია	5	2	0	3	5:7	6
4.ლიონი	5	0	1	4	3:9	1

ბიბისი ყატარს კორუფციაში ადანაშაულებს



ბიბისის ინფორმაციით, ყატარმა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის 117 მილიონი ევრო გადაიხადა!

ამ ინფორმაციას ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ყოფილი ხელმძღვანელი ლორდ ტრისმანიც ადასტურებს:

– ორი სანდო წყაროდან ვიცი, რომ ყატარმა მუნდიალის მასპინძლობისთვის 117 მილიონი ევრო გადაიხადა. მე სუფთა კვლევა ჩავატარე და როცა ვუყურებ ადამიანებს, რომლებიც ამ საქმეში არიან ჩართულნი, ვხვდები, რომ მათ ეს პატივი შავი გზით მოიპოვეს.

შეგახსენებთ, რომ საგამოძიებო სტრუქტურებმა სხვადასხვა სახის ბრალდება ორგანიზაციის ხელმძღვანელ იოზეფ ბლატერსა და ასევე უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის წაუყენეს. ბლატერის მიერ პლატინისადმი უკანონოდ გადარიცხული 2 მილიონი შვეიცარიული ფრანკის გამო, ორივე საფეხბურთო ფუნქციონერი საკუთარ საქმიანობას 90 დღით ჩამოაშორეს.

ასევე საუბარი მიდის იმაზეც, რომ მუნდიალის მასპინძლობის უფლება კორუფციული გზით მიიღო რუსეთმაც, სადაც მსოფლიოს საუკეთესო გუნდები 2018 წელს ითამაშებენ.

ინგლისი ყველაზე მეტად არის დაინტერესებული იმით, რომ ამ ქვეყნებს ჩამოაშორონ მასპინძლობის უფლება და თავად უმასპინძლონ პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს.

განსხვავებული აზრის არის ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, რომელიც მიიჩნევს, რომ მიუხედავად ფიფაში არსებული კორუფციული სკანდალისა, 2018 და 2022 წლის მუნდიალის მასპინძლები უცვლელნი უნდა დარჩნენ.

დევიდ ბექჰემი:

– არ აქვს მნიშვნელობა, კორუფცია არის თუ არა. ფაქტია, რომ მასპინძლებად სწორედ რუსეთი და ყატარი არიან შერჩეულნი და ამას უნდა შევეგუოთ. ეს ფეხბურთისთვის კარგია, რადგან სპორტის ეს სახეობა ახალ და განსხვავებულ ქვეყნებს მოივლის.



შენგელიასა და სანიკიძის სუპერმატჩები

თორნიკე შენგელიას მორიგი დიდებული მატჩი ესპანეთის ჩემპიონატში. ლაბორალ კუჩას ქართველმა ფორვარდმა წინა ტურში სარაგოსას 23 წუთში 21 ქულა ჩაუგდო, ახლა კი ტენერიფესთან 26 წუთში 24 მიითვალა და, ცხადია, საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

თორნიკეს სათანადოდ ვერ აუბეს მხარი თანაგუნდელებმა და ვიტორიული გუნდი, რომელიც ამ ტურამდე მეორე ადგილზე იყო, ერთ-ერთ აუტსაიდერთან დამარცხდა. არადა, ლაბორალ კუჩა შინ თამაშობდა და ულაპარაკო ფავორიტადაც ითვლებოდა. ვირტორიელებს ამ მატჩამდე 7 მოგება და 1 მარცხი ჰქონდათ, ხოლო ტენერიფეს 2 მოგება და 5 წაგება. პირველი ტაიმი კუნძულელებმა 1 ქულით მოიგეს, თუმცა მასპინძლებმა დიდ შესვენებაზე სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს და საბოლოოდ 92:98 დამარცხდნენ.

შენგელია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე გამოსულმა ისეთი შედეგიანობა გამოიჩინა, ის მწვრთნელმა 26 წუთი ათამაშა. თორნიკემ 10-დან 7 ორქულიანი, 8-დან 7 საჯარიმო და ერთადერთი სამქულიანიც ჩააგდო. 24 ქულას შენგელიამ 4 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაყოლა.

7 მოგებითა და 2 მარცხით ლაბორალ კუჩა მე-4 ადგილზე დაქვეითდა. მომდევნო ტურში, 13 დეკემბერს, შენგელიას გუნდი სტუმრად ბილბაო ბასკეტს შეხვდება.

ვიქტორ სანიკიძემ კი საუკეთესო მატჩი ჩაატარა თურქეთის ჩემპიონატში. ანკარის თედ კოლეჯში მოთამაშე ქართველმა ფორვარდმა სეზონის საუკეთესო მატჩი თურქეთის ჩემპიონ პინარ ქარშიაქასთან ითამაშა. სანიკიძის ქებული თამაშის წყალობით ანკარელებმა ფავორიტად შერაცხული მეტოქე 65:62 დაამარცხა.

სანიკიძე სასტარტო ხუთეულში იყო და 26 წუთში 8-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 10-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. ქართველმა ფორვარდმა 22 ქულას 6 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება წაამატა და გასაკვირი არ ყოფილა, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.

თედ კოლეჯმა 4 მოგება და 5 მარცხი მოაგროვა და მე-7 ადგილზე გადაინაცვლა.

თურქეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი მოიგო მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკამ, თუმცა ქართველ ლეგიონერს არ უთამაშია. საქართველოს ნაკრების წევრი დარუშაფაკელთა განაცხადში არ ყოფილა.

სტამბოლური გუნდის მეტოქე ბუიუქჩეკმეჩი გახლდათ, რომელიც დარუშაფაკამ 82:76 დაამარცხა.

5 მოგებითა და 4 მარცხით დარუშაფაკა მე-4 ადგილზეა და მომდევნო მატჩს 14 დეკემბერს, სტუმრად პინარ ქარშიაქასთან გამართავს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელ გიორგი ცინცაძის გუნდს საფრანგეთის ჩემპიონატში გალიდერების შანსი ჰქონდა, თუმცა მორიგი ტურის შეხვედრა ევროლიგის მონაწილე სტრასბურთან სტუმრად წააგო და მეორე ადგილზე დარჩა.

ცინცაძის გრავლინს სტრასბურგელებთან შანსი არ ჰქონიათ და საბოლოოდ 19 ქულით – 66:85 წააგეს. ქართველი უკანახაზელი სათადარიგო იყო და მოედანზე მხოლოდ 4 წუთით გამოჩნდა. ამ სიმბოლურ დროში გიორგიმ მხოლოდ ერთხელ შეუტია სტრასბურგელთა ფარს, თუმცა მიზანში ვერ გაარტყა.

8 მოგებით და 3 წაგებით გრავლინი მეორე ადგილს მონაკოსთან ერთად იყოფს. მომდევნო ტურში, 14 დეკემბერს, ცინცაძის გუნდი პო ორტეზს უმასპინძლებს.

შოთა არველაძეს სამუშაოდ აზერბაიჯანში იწვევენ

ქართველმა სპეციალისტმა შოთა არველაძემ შესაძლოა კარიერა აზერბაიჯანში გააგრძელოს. ამ ინფორმაციას თავად ჩვენი მეზობლები ავრცელებენ.

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, არველაძის კანდიდატურა ბაქოს ნეფთჩის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე განიხილება.

ამჟამად ნეფთჩის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ასკერ აბდულაევია.

შეგახსენებთ, რომ შოთა არველაძე ბოლოს თურქულ ტრაბზონსფორში მუშაობდა და 11 ნოემბერს დატოვა. მანამდე ქართველ სპეციალისტს მთავარ მწვრთნელად სხვა თურქულ კლუბებში – ქაისერსა (2010-12) და ქაშიმფაშაში (2012-15) აქვს ნამუშევარი, ხოლო 2008-10 წლებში ალკმაარში ლუი ვან გაალის თანაშემწე იყო.

შედეგები

7 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-კრ.პალასი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლესტერი	15	9	5	1	32-21	32
2.არსენალი	15	9	3	3	27-13	30
3.სიტი	15	9	2	4	30-16	29
4.მანჩესტერი	15	8	5	2	20-10	29
5.ტოტენჰემი	15	6	8	1	25-12	26
6.კრ.პალასი	15	7	2	6	20-15	23
7.ვესტ ჰემი	15	6	5	4	25-21	23
8.ლივერპული	15	6	5	4	18-17	23
9.ევერტონი	15	5	7	3	28-20	22
10.უოტფორდი	15	6	4	5	17-16	22
11.სტოკი	15	6	4	5	13-14	22
12.საუთჰემპტონი	15	5	6	4	21-18	21
13.ვესტ ბრომვიჩი	15	5	4	6	14-19	19
14.ჩელსი	15	4	3	8	17-24	15
15.სუონსი	15	3	5	7	14-22	14
16.ნორვიჩი	15	3	4	8	17-27	13
17.ბორნმუთი	15	3	4	8	18-30	13
18.ნიუკასლი	15	3	4	8	16-30	13
19.სანდერლენდი	15	3	3	9	17-29	12
20.ასტონ ვილა	15	1	3	11	13-28	6

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-ლევანტე 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	14	11	1	2	34-13	34
2.ატლეტიკო	14	10	2	2	20-6	32
3.რეალი	14	9	3	2	32-12	30
4.სელტა	14	7	4	3	25-22	25
5.ვილიარეალი	14	7	3	4	18-15	24
6.დეპორტივო	14	5	7	2	21-14	22
7.ბილბაო	14	6	3	5	21-16	21
8.ვალენსია	14	5	5	4	18-11	20
9.ეიბარი	14	5	5	4	18-16	20
10.სევილია	14	5	4	5	19-19	19
11.ბეტისი	14	5	4	5	13-18	19
12.ესპანიოლი	14	5	2	7	15-25	17
13.სოსიედადი	14	4	3	7	16-19	15
14.ხიხონი	14	4	3	7	15-21	15
15.ხეტაფე	14	4	2	8	15-23	14
16.რაიო	14	4	2	8	15-25	14
17.მალაგა	14	2	5	7	7-13	11
18.გრანადა	14	2	5	7	15-24	11
19.ლევანტე	14	2	5	7	11-25	11
20.ლას პალმასი	14	2	4	8	11-22	10

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბილბაო ბ-სარაგოსა 0:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დიუსელდორფი-ბრაუნშვაიგი 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

აკჰისარი-სივასი 1:0

ტრაბზონი-ესკიშეჰირი 3:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეჩნა-პოგონი 2:3

დანია. სუპერლიგა

ოლბორგი-ვიბორგი 2:0

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ავსტრალიაში მოსაცდელებში ისტორიის ამსახველ პოსტერებს განათავსებენ

ავსტრალიაში ამოქმედდა პროექტი სახელწოდებით „მე მოვედი ნავით“, რომლის მიზანს ლტოლვილებთან მიმართებაში დამოკიდებულების შეცვლა წარმოადგენს. ამ კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პოსტერების განთავსება, რომელზეც იმ წარმატებული ადამიანების ისტორია იქნება წარმოდგენილი, რომლებიც ოდესღაც ქვეყანაში ჩამოვიდნენ და დამკვიდრდნენ.

იდეის რეალიზაციისთვის საჭირო თანხას მისი ორგანიზატორები კრაუდფანდინგურ მოედანზე აგროვებენ. სულ ამ მიზნის განსახორციელებლად 55 ათასი დოლარია საჭირო. ვარაუდობენ, რომ 2016 წლის გაზაფხულისთვის სამი კვირის განმავლობაში პოსტერები საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებსა და კიდევ 400 სხვადასხვა ადგილას განთავსდება, მთელი ავსტრალიის მასშტაბით. მომავლისთვის კი იდეის ავტორები ფოტოსურათების გამოფენის მოწყობას გეგმავენ.

პროექტის კოორდინატორის ბლანკ დუდას თქმით, ამ დროისთვის მათ მიერ შეგროვილმა თანხამ 11 ათას დოლარს მიაღწია.

ესტონეთის პრეზიდენტი ცოლს ირთავს

ესტონეთის პრეზიდენტი ტოომას ილვესი ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერუსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ იევე კუპცეზე დაინიშნა. ნიშნობის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია ესტონეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაადასტურეს.

მომავალი ქორწილი პრეზიდენტის მიერ მისი სახელმწიფოებრივი მოვალეობების შესრულებაზე არ იმოქმედებს, ამტკიცებენ ადმინისტრაციაში. ამავე დროს, ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა სამსახურში 38 წლის იევე კუპცე.

61 წლის ილვესი ორჯერ იყო დაოჯახებული. მას სამი შვილი ჰყავს. მეორე მეუღლეს ის მიმდინარე წელს გაშორდა. ეს მისი მეორე საპრეზიდენტო ვადაა, რომელსაც 2016 წლის აგვისტოს ბოლოს ეწურება ვადა.

ილვესმა და კუპცემ ერთმანეთი 2000 წლის დასაწყისში ევროპარლამენტში გაიცნეს.

ბრიტანელმა მსახიობმა სანტას უსაყვედურა



ბრიტანელმა მსახიობმა ბენედიქტ კამბერბეტჩმა ღია წერილი მისწერა სანტა-კლაუსს, რომელშიც შეახსენა, რომ მისი ბავშვობისდროინდელი თხოვნა საჩუქრად მანათობელი ხმალი მიეღო, ჯერაც არ შესრულებია.

თავის წერილში ბენედიქტმა ასევე აღნიშნა, რომ არ შეუძლია მას მოზრდილთა პრობლემების მოგვარება სთხოვოს, ისეთის, როგორიცაა, მაგალითად, „ბუნების დაბინძურება, მიგრანტების კრიზისი, განათლება, ადამიანების უფლებების დარღვევა და ომები“.

– ღმერთმა იცის, რომ ჩვენ ნებისმიერი დახმარება გვჭირდება, რომლის მიღებაც შესაძლებელია... მაგრამ შენ ბავშვებისთვის ხარ. ბავშვებისთვის, რომლებსაც ამ სამყაროში მაგია სჭირდებათ, რათა გაიგონ, სად გადის ზღვარი უმწიკვლობასა და პასუხისმგებლობას, წარმოსახვასა და გულგრილობას შორის, ის მუდმივად მცირდება. სწორედ ეს მინდა გთხოვო: ბავშვებს ცოტა მეტი დრო აჩუქე, რათა უფრო დიდხანს დარჩნენ ბავშვებად, – დაწერა მსახიობმა.

საერთაშორისო

თურქეთის სანაპიროსთან 6 ავღანელი დევნილი ბავშვი დაიღუპა

თურქეთის ქალაქ ჩეშმეს სანაპიროსთან 6 ავღანელი ბავშვი დაიღუპა, რომლებიც თურქეთიდან საბერძნეთის კუნძულ ხიოსზე მოხვედრას ცდილობდნენ.

ნავი, რომელსაც ავღანელი დევნილები გადაჰყავდა, შტორმის შედეგად გადატრიალდა. ერთ-ერთი დაღუპული ჩვილია.

თურქეთის სანაპირო დაცვის სამსახურმა 5 მიგრანტის გადარჩენა შეძლო, 2 ადამიანი დაკარგულად ითვლება.

ევროკავშირის ქვეყნებში ბოლო 10 თვის განმავლობაში მილიონ 200 ათასი მიგრანტია გადასული.

ასტროპროგნოზი
9 დეკემბრისათვის

ვერძი – ნუ იაქტიურებთ. თქვენი მდიდარი შინაგანი სამყარო დღეს არატრადიციულ გარემოს მოითხოვს. აუცილებლად გამონახეთ დრო თეატრში ან გამოფენაზე წასასვლელად. **კურო** – წარმატებების კასკადი გრძელდება. კარგი დღეა ახალი იდეების განსახორციელებლად. აუცილებლად გაითვალისწინეთ მეგობრის რჩევა. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. დღეს რისკი გამართლებული არ არის. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. მივლინებებისა და მოგზაურობისათვის შესანიშნავი დღეა. ემოციებს არ აჰყვეთ. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი ცუდად დამთავრდება. **ქალწული** – პასიური, მძიმე დღეა. ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო გელით. მოსალოდნელია აგრესია ოპონენტებისა და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან. **სასწორი** – მიენდეთ ინტუიციას. პროფესიულ სფეროში ვარსკვლავები აქტიურობას არ გირჩევენ. ასევე ერიდეთ რისკთან დაკავშირებულ კომერციულ ოპერაციებს. **ღრიანკალი** – არასტაბილურ სიტუაციაში აღმოჩნდებით. დღევანდელი დღე გაორებული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. თავს ნუ მოიტყუებთ. **მშვილდოსანი** – უარი თქვით მოგზაურობაზე, მივლინებაზე. თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. **თხის რქა** – ნუ იზარმაცებთ. თუ თავს მიუშვებთ, ნებისმიერი წვრილმანი ცვლილებაც კი საზიანო იქნება. **მერწყული** – შესაძლოა, ახალი სამსახური იშოვოთ. ამაში კრეატიულობა და იდეების მოზღვავება დაგეხმარებათ. საკუთარ თავში ახალ რესურსებს აღმოაჩენთ. **თევზები** – პოზიტიური დღეა. კარგი იქნება, თუ ჯანმრთელობას მეტ ყურადღებას მიაქცევთ. დღის მეორე ნახევარი განსაკუთრებით წარმატებული იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

პორნჰაბმა საოჯახო საშობაო რეკლამა გადაიღო

ინტერნეტ რესურსმა დიდებისთვის პორნჰაბმა საოჯახო საშობაო რეკლამა გადაიღო. შემქმნელები სთავაზობენ ნათესავებს, აჩუქონ წლიური ხელმოწერა, რომელიც ვებ-გვერდთან წვდომას ყოველგვარი რეკლამის გარეშე უზრუნველყოფს.

ვებ-გვერდი მომხმარებელს სთავაზობს სასაჩუქრე ბარათს მოწყენილი და მარტოხელა მოხუცებულისთვის. ვიდეოზე ნაჩვენებია, თუ როგორ შეიკრიბა შობის დღესასწაულზე ხუთსულიანი ოჯახი. მშობლები და ბავშვები საჩუქრებს ცვლიან და შვილიშვილი პაპას პორნჰაბის სასაჩუქრე ბარათს ჩუქნის.

პორნჰაბი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პორნოგრაფიული რესურსია. ის მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ვებ-გვერდების ასეულში შედის. ვებ-გვერდი 2007 წელს კანადის ქალაქ მონრეალში დაარსდა.

ინგლისელი მხატვრის ნაძვის ხე გააკრიტიკეს

მხატვარ დემიენ ჰერტსის მიერ ლონდონში დადგმული საშობაო ნაძვის ხე, რომელიც სამედიცინო ნემსებითა და სხვადასხვა ფლაკონებითაა გაფორმებული, მკაცრად გააკრიტიკეს. ამ ნაძვის ხის ხილვა ერთ-ერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მახლობლადაა შესაძლებელი. მისი სიმაღლე 9 მეტრს აღემატება.

თავად ჰერტმა საკუთარ ქმნილებას „ერთიანობის ზეიმი“ უწოდა. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, უმრავლესობამ ის „უტაქტობად“ ჩათვალა, ვინაიდან ის კათოლიკური ეკლესიის და უსახლკაროთა თავშესაფრის მახლობლადაა განთავსებული. ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრებლის თქმით, საშობაო ნაძვის ხე, როგორც ჩანს, „გაუცნობიერებლადაა“ შესრულებული.

შოტლანდიელები შანელს პლაგიატს სდებენ ბრალად

შოტლანდიელი მქსოველების ჯგუფმა ფრანგული მოდური სახლი შანელი პლაგიატში დაადანაშაულა. უთანხმოების მიზეზად იქცა ბრენდის ახალი კოლექცია. არც ისე დიდი ხნის წინ, რომში გამართულ ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო დიზაინი, რომელიც ძალიან წააგავს იმას, რომელსაც კუნძულ ფერ-აილზე სახელგანთქმულ ჯემპრებში იყენებენ.

ფრანგული მოდის სახლის წარმომადგენლები ზაფხულში ფერ-აილს სტუმრობდნენ და ქსოვის ადგილობრივ ოსტატებთან ეძებდნენ „აღმაფრენას“. კერძოდ, მათ ვიდი ჯემპრი შეიძინეს მატი ვენტრიიონისგან. მისი თქმით, შანელის გუნდის წევრებმა მას აცნობეს, რომ ჯემპრებს გამოკვლევებისთვის ყიდულობდნენ. ქალმა თავის მხრივ მოდის სახლის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მათთვის ჯემპრების მიყიდვას შანელის რეპუტაციიდან გამომდინარე დათანხმდა და ამიტომ არ მოელის იმას, რომ მის დიზაინს მიისაკუთრებენ.

როგორც ვენტრიიონმა განმარტა, ფერ-აილის ორნამენტები საზოგადოების საკუთრებაა.

– მაგრამ მე ტანსაცმელი ფორმის, ფერის შერჩევისა და ორნამენტების განლაგების მიხედვით შევქმენი, – განაცხადა შოტლანდიელმა ქალბატონმა.

სავარაუდოდ, კომპანია შანელმა შოტლანდიელ მქსოველს დიზაინის შექმნისთვის განკუთვნილი ანაზღაურება არ გადაუხადა. ჯერჯერობით უცნობია, აპირებს თუ არა ვენტრიიონი სამოდელო სახლის წინააღმდეგ რაიმე იურიდიული ნაბიჯების გადადგმას.

რვა წლის წინ დაკარგული კატა ოჯახს დაუბრუნდა

წითური კატა, სახელად ჯინჯერი, რომელიც რვა წლის წინ დაიკარგა, თავის პატრონებს დაუბრუნდა. ამ ინფორმაციას ამერიკაში ცხოველთა თავშესაფრის პრეს-მდივანი ლიზი ბლოკი ავრცელებს.

ბლოკის თქმით, ჯინჯერი რიკი ბენსონის წყალობით იპოვეს, რომელიც თითქმის ორი თვის მანძილზე კალიფორნიის ქალაქ ნოვატოში მდებარე თავის მაღაზიასთან კატას საჭმელს აძლევდა. რაღაც მომენტში ბენსონმა გადაწყვიტა, ცხოველი თავშესაფარში შესამოწმებლად მიეყვანა. სწორედ ამ დროს დაწესებულების თანამშრომლებმა კატას მიკროჩიპი აღმოუჩინეს. მათ ჯინჯერის მფლობელებთან – ნენსი და სტივენ პეინებთან დაკავშირება შეძლეს. კატა უკვე დაუბრუნდა თავის პატრონებს.

როგორც ბლოკმა აღნიშნა, ჯინჯერი ნოვატოში მდებარე სახლიდან ჯერ კიდევ მაშინ გაიქცა, როდესაც კნუტი იყო. მან ასევე აღნიშნა, რვა წლის მერე შინაური ცხოველის მისი პატრონებისთვის დაბრუნება სარეკორდოა მისი არსებობის ისტორიაში

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქეთა თოფურია ყველაზე გლამურულ მომღერლად დაასახელეს

ქართველი მომღერალი ქეთა თოფურია წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება და თითქმის აღარ დარჩა ჯილდო რუსულ შოუბიზნესში, რომელიც მას არ მოუგია.

ორი დღის წინ მოსკოვში „წლის სიმღერის“ საახალწლო კონცერტი გაიმართა, სადაც „ა სტუდიოს“ ქართველი ვოკალისტი ყველაზე გლამურულ მომღერლად დასახელდა.

კონცერტზე ქეთა ელეგანტურ თეთრ სამოსში გამოწყობილი გამოცხადდა და მის ელეგანტურობას ყველამ ერთხმად კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

თავად მომღერალი აღიარებს, რომ უყვარს კარგად და, რაც მთავარია, გამორჩეულად ჩაცმა, ამიტომაც საკუთარი გარდერობის გასაახლებლად თანხები არ ენანება. ამაში ისიც ეხმარება, რომ ქეთას ხშირ შემთხვევაში საკუთარი დიზაინით შექმნილი კაბები აცვია, რაც კიდევ უფრო ელეგანტურს და ორიგინალურს ხდის მას.

ამიტომაც ქეთა თოფურიამ დიზაინერის ამპლუაშიც სცადა საკუთარი შესაძლებლობები და გამოუშვა კოლექცია სახელწოდებით „ქეთევან“, სადაც ექსკლუზიურად მისი დიზაინით შექმნილი კოლექცია გაერთიანდა.

მომღერალი უკვე მიეჩვია იმას, რომ ელეგანტურად უნდა გამოიყურებოდეს და ამის გამო შედეგიც სახეზეა – ის თითქმის ყოველ წელს ორიგინალურად ჩაცმის გამო სხვადასხვა დაჯილდოებების გამარჯვებულია.

ეკა ირემაშვილი

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 2. თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი; 3. მოძღვრება მორალისა და ზნეობის შესახებ; 5. ყაზახეთის დედაქალაქი; 6. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბინდის პერსონაჟის შემქმნელი; 9. ავადმყოფური შიში, გამოწვეული საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით; 10. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. წელიწადის მეთორმეტედი; 16. თურქული აბანო; 18. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში.

თარაზულად: 1. შემაგრებული ესპანური ღვინო; 4. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 7. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 8. თევზი, რომელსაც ორივე თვალი ცალ მხარეს აქვს; 12. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. ბრგე, ღონიერი მამაკაცი; 15. შუა საუკუნეების ევროპაში წარმოშობილი ხუროთმოძღვრული სტილი; 17. სახოტბო ლექსი; 19. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 20. სრული უწესრიგობა, არეულობა; 21. ტყავის დამამზადებელი ოსტატი ძველად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯუსი; 2. ჯანღი; 3. კაისა; 5. იბერია; 6. ლემბერგი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერო; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. გელათი; 18. ანსა.

თარაზულად: 1. ჯორჯია; 4. შვიდეული; 7. ანდორა; 8. სუპორტი; 12. ოტელო; 13. გურონი; 15. ლონდრე; 17. ალი; 19. ალექსანდრია; 20. კინტო; 21. ქაშაყი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იკაო; 2. ნიყვი; 3. უჯარმა; 5. ზვარე; 6. ლუიზიანა; 8. იქთიოლოგია; 10. აგარანი; 12. დელფინი; 14. ალგეთი; 15. სუმიდა; 16. ლხასა.

თარაზულად: 1. იგუანა; 4. იზაბელა; 7. ჯოყოლა; 9. მოხერი; 11. ათაბაგი; 12. დეკაგონი; 13. ურნალი; 17. მალიბუ; 18. აგარა; 19. ინანთეული; 20 კავასაკი.

გიორგი შენგელაია სოსო ჯაჭვლიანისა და ირაკლი ტრიპოლსკის წინააღმდეგ

კინორეჟისორი გიორგი შენგელაია დეპუტატებს სოსო ჯაჭვლიანსა და ირაკლი ტრიპოლსკის უპირისპირდება და მათ საარჩევნო საზოგადოება „ქართული ფილმის“ ხელში ჩაგდების მცდელობაში ადანაშაულებს.

უკვე კარგა ხანია „ქართულ ფილმთან“ დაკავშირებით ვნებათაღელვა არ ცხრება და ეტაპობრივად იმართება გამაფრთხილებელი აქციები და საპროტესტო ხასიათის შეკრებები.

გიორგი შენგელაია:

– კინოსტუდიის ამბავს საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, „ქართულ ფილმს“ მისი თანამოაზრეები დაეპატრონნენ და ქონების ნახევარი გაყიდეს. სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდგომ ჩვენ, კინოსტუდიის თანამშრომლებმა, ეს ხალხი კინოსტუდიიდან გავყარეთ და დარღვევების აღმოფხვრა და სამართლიანობის აღდგენა დავიწყეთ.

როდესაც ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა, კინოსტუდიაში სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღეს და ამის ინიციატორი სოსო ჯაჭვლიანი იყო. მან თავის თანამოაზრე ირაკლი ტრიპოლსკისთან ერთად მოიგონა, რომ თურმე კინოსტუდიაში ბორდის არსებობაა საჭირო 9 კაცის შემადგენლობით. არადა, ჩვენ კინოსტუდიის სათავეში სულ 5 კაცი ვიყავით და საწარმოს ნაგვისგან ვასუფთავებდით.

ყველამ კარგად იცის, რომ ბორდის წევრების სია დეპუტატმა სოსო ჯაჭვლიანმა შეადგინა. ბორდის თავმჯდომარედ კი რამაზ ხოტივარი დაინიშნა.

ბორდის შექმნის შემდეგ კინოსტუდიის დირექტორად ვინმე ამერიკელი ენდრიუ სული მოიწვიეს და გაყარეს ყველა ჩემი თანამშრომელი. გელა ენდრიუ სულს 2 წლის განმავლობაში კინოსტუდიისთვის არაფერი გაუკეთებია.

ყველამ კარგად დაიმახსოვროს, „ქართული ფილმი“ არავის საკუთრება არ არის, მთელი ეს საწარმო თვითონ კინემატოგრაფისტების შრომის შედეგად აშენდა, რომლებიც ახლა მშივრები და უმუშევრები არიან.

მებრძვიან, ბინძურ ჭორებს მიგონებენ, ამბობენ, თითქოს გიორგი შენგელაია ივანე მრისხანეა. არადა, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ტყუილსა და უსამართლობას არავის ვაპატიებ, სიბინძურეს კინოსტუდიაში არავის მოვუთმენ.

სოსო ჯაჭვლიანმა და ირაკლი ტრიპოლსკიმ ყველაფერი ძალიან კარგად გათვალეს. იციან, რომ ახალი არჩევნების შემდგომ ეგ სტატუსი შეიძლება დაკარგონ, კინოსტუდიის ხელში ჩაგდებაც ამიტომაც მოინდომეს.

2 წელია ვითხოვ კინოსტუდიის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადატანას და რამდენადაც ვიცი, ეკონომიკის და კულტურის სამინისტროები ამ საკითხზე უკვე მუშაობენ.

გიორგი შენგელაიას ბრალდებებს სოსო ჯაჭვლიანმა და ირაკლი ტრიპოლსკიმ ღია წერილით უპასუხეს:

– ნამდვილად არ ვაპირებდით პასუხს ბატონი გიორგი შენგელაიას არაერთ ცილისმწამებლურ და დაუსაბუთებელ გამოსვლებზე, თუნდაც მისი გადაღებული ფილმის „ალავერდობის“ ხათრით, მაგრამ...

სამწუხაროდ, ბატონ გიორგის „ვნების სიმძაფრე“ შენებაში კი არა, უკვე ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებებში გადაიზარდა და ისეთ „ალავერდებს“ გამოდის, რომ საზოგადოების გაუთვითცნობიერებელი ნაწილი შეიძლება დაეჭვოს კიდეც მისთვის საყვარელი ფილმების გადამღები რეჟისორის უკიდეგანო შერისხვებმა.

ბოლო პერიოდში მედიასაშუალებით გული რომ ვერ იჯერა, უკვე მუქარის წერილებს უგზავნის მისგან „შერისხულებს“. უცვლელად მოვიყვანთ მისი ერთ-ერთი ბოლო „მოსაკითხი ბარათის“ ტექსტს და ნათქვამში საზოგადოება თვითონ დარწმუნდება...

გპირდებით, რომ ბატონ გიორგის აღარ ვუპასუხებთ, ნამდვილად გვირჩევნია, კიდევ ბევრჯერ ვნახოთ მისი „ალავერდობა“, რადგან ვნების სიმძაფრე სხვაგან გვეგულება.

„ნიჭიერმა“ პირველი ფინალისტები გამოავლინა

სახალხო პროექტმა „ნიჭიერი“ მეექვსე სეზონის ნახევარფინალები დაიწყო და პირველი ფინალისტებიც გამოავლინა.

შოუს წამყვანებს გიორგი ყიფშიძეს და ვანიკო თარხნიშვილს კიდევ ერთი თანაწამყვანი შეემატა. კონკურსანტებს მთელი შოუს განმავლობაში მოსაცდელ ოთახში ტელეწამყვანი ლიკა ქორქია გაამხნევებს.

ჟიურის მიერ შერჩეული ნახევარფინალისტებიდან პირველ შოუში მონაწილეობა მიიღეს მოცეკვავე წყვილმა გიორგიმ და მეგიმ, მომღერალმა ნინო წულაიამ, ანსამბლმა „ოდილამ“, ცეკვის ჯგუფმა „სვოგერს“, ავთანდილ ზარიძემ, იგივე ჯიმიმ, გენადი ტკაჩენკო პაპიუმა, მოსიარულე დრამერებმა და ფქვილში მოცეკვავე ევა შაინოვამ.

ჟიურის ერთ-ერთმა ყველაზე მხიარულმა წევრმა, რუსკა მაყაშვილმა, ავთანდილ ზარიძესთან, იგივე ჯიმისთან ერთად მორიგი ინდური სიმღერის საცეკვაო ნომერი შეასრულა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაინაცვლა ჟიურიში.

ია ფარულავამ, ნანუკა ჟორჟოლიანმა, ნიკა გვარამიამ, ლევან წულაძემ და რუსკა მაყაშვილმა კიდევ ერთხელ შეაფასეს ნახევარფინალისტები და მაყურებელს თავისი არჩევანის გაკეთების საშუალება მისცეს.

პირველ ნახევარფინალზე მაყურებელთა ხმები ასე განაწილდა: გიორგი და მეგი 43.6%, ნინო წულაია 22.7%, ანსამბლი „ოდილა“ 8.8%, ჯგუფი „სვოგერს“ 7.4%, ავთანდილ ზარიძე, ჯიმი 5.4%, გენადი ტკაჩენკო პაპიუ 4.7%, მოსიარულე დრამერები 4.5% და ევა შაინოვა 3.2%.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, ფინალში გადავიდნენ გიორგი და მეგი, ხოლო ჟიურიმ ფინალში მომღერალი ნინო წულაია გადაიყვანა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ნიჭიერის“ პირველივე ცოცხალმა შოუმ უმაღლესი რეიტინგი მოიპოვა მაყურებელში და 30 პროცენტიანი მაჩვენებლით აბსოლუტური ლიდერი გახდა.

ვინ გახდება მორიგი ორი ფინალისტი, ამას მაყურებელი მომავალ ორშაბათს შეიტყობს.

რეზო ჩხეიძეს მემორიალური დაფა გაუხსნეს

8 დეკემბერი რეზო ჩხეიძის დაბადების დღეა. მას 89 წელი შეუსრულდებოდა. ცნობილი კინორეჟისორის დაბადების დღეს მისი მეგობრები, ოჯახის წევრები, კოლეგები, სტუდენტები და რიგითი თაყვანისმცემლები პირველად შეხვდნენ მის გარეშე.

ლარსის ქუჩაზე, იმ საცხოვრებელი კორპუსის კედელზე, სადაც რეზო ჩხეიძე ცხოვრობდა, მემორიალური დაფა გაიხსნა. მემორიალური დაფა უკვე გახსნილია ქუთაისში, კინორეჟისორის მშობლიური სახლის კედელზე. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქუთაისში რეზო ჩხეიძის სახლ-მუზეუმის მოწყობასთან დაკავშირებით.

რეზო ჩხეიძე მაისში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ვირტუოზი გიტარისტის გადასარჩენად ხელოვანები ერთიანდებიან

ვირტუოზი გიტარისტი კოკა ცქიტიშვილი მსოფლიოში ცნობილ ბენდთან თი ბლუზ მობისთან არის დაკავშირებული. მისი ბენდი ერთადერთია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რომელიც „ევროპის ბლუზის კავშირში“ მიიღეს.

ბენდის სოლისტი და ვირტუოზი გიტარისტი კოკა ცქიტიშვილი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოულოდნელად დამძიმდა, ხელოვანს ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა, დაკარგა დიდი რაოდენობით სისხლი და ახლაც საკმაოდ სუსტადაა.

მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, 13 დეკემბერს კოკას დასახმარებლად ზაზანოვაში საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარონ.

– თითოეულმა ჩვენგანმა შევიტანოთ წვლილი კოკას გამოჯანმრთელებაში! – ასე მოუწოდებენ კოლეგებს, მეგობრებს, რიგით მსმენელებს კონცერტში მონაწილე ხელოვანები და უახლოესი მეგობრის დასახმარებლად მაქსიმალურად მეტი ხალხის მობილიზებას ცდილობენ.

კოკა ცქიტიშვილის გადასარჩენად დაგეგმილ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია. შემოსული თანხა მთლიანად კოკა ცქიტიშვილის ანგარიშზე გადაირიცხება.

ნუკა კვალიაშვილი დედა მეორედ გახდება

მომღერალი ნუკა კვალიაშვილი დედა მეორედ გახდება. ეს სასიხარულო ინფორმაცია მან სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა.

ნუკა კვალიაშვილი:

– მე ყოველთვის ვიქნები მაგარ ფორმაში, სულ რომ 400 შვილი გავაჩინო. ვიქნები ისეთი, როგორიც ყოველთვის ვიყავი. მე არასოდეს დამეტყობა სიბერე არც ვიზუალურად და არც შინაგანად, მე ვარ ლაღი, კეთილი, გულიანი, ერთგული ადამიანი და ეს არის ის, რითიც მარადიულ სილამაზეს იძენ.

პ.ს. 8 თვის წინ მომეშალა მუცელი 2 თვის, ძალიან ბევრი კითხულობდა ამ თემასთან დაკავშირებით, ასე თუ ისე პასუხად ვწერდი, რაც მომივიდა და რაზე საუბარიც არ მინდა...

ამჯერად ვარ 4 კვირის ფეხმძიმე! აი ეს იყო მიზეზი ზემოთ დაწერილი 400 შვილის...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

„მემარცხენე ალიანსი“ სამძიმარს უცხადებს პარტიის გენერალური მდივნის იოსებ შატბერაშვილის მეუღლეს, მანანა შატბერაშვილს მამის

ფარნაოზ სეფიაშვილის

გარდაცვალების გამო.

პარტია „მემარცხენე ალიანსი“ სამძიმარს უცხადებს მანანა შატბერაშვილსა და დავით სეფიაშვილს მამის

ფარნაოზ სეფიაშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ თანამშრომლის ნანა ხომერიკის დედის

ჟუჟუნა ხომერიკის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.40 "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩანტო პეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30, 14.05** მხ/ფ "**დახეული ფარდა**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** "კომუნიკატორი" **23.00** სპორტული გადაცემა **23.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგას ჯგუფური ეტაპის მატჩი. **01.50** მხ/ფ "**მძარცველები**"

08.00, 10.10, 21.00 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.00** "ბრიფინგის დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25,** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **8** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**რუბანტინო**" (კ.მორი) **02.35** მხ/ფ "**სამარცხვინო გასეირნება**" (ჯ.მერდსენი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ "მეოცე საუკუნის წმინდანები-მიტროპოლიტი ნაზარი" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ. ან/ფ **15.40** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.20** კონცერტი **17.00** დ/ფ "მეფეთ-მეფე და დედოფალთ-დედოფალი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" I სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.30** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "თრონი" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ძუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.30** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** "მონიტორი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადირობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**ბელადის ვაჟი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ახალი, ნედლი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 2. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 3. ფერადი, გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნაჭრები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 5. სურნელოვანი პარფიუმერული ფხვნილი; 6. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 8. ყველაზე დიდი კუნძული მსოფლიოში; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული, გუტაპერჩის შემცველი, სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 12. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 14. ცხენის მოსართავი; 15. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 16. სირიის პრეზიდენტი.

თარაზულად: 1. ლექსის გარითმული სტრიქონი; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური; 9. მექსიკური არაყი; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. უაზრობა, სისულელე; 13. სასტუმროს თანამშრომელი; 17. აეროპორტი პრაღაში; 18. აზრი, ჩანაფიქრი; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3859	ევრო — 2.5780
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5963	100 რუსული რუბლი — 3.4799

ამინდის პროგნოზი 9 დეკემბრისთვის

ფაჩულიას რვიანები

ზაზა ფაჩულიას დალას მავერიკსმა ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოიგო. ვაშინგტონში გამარჯვების შემდეგ ტეხასელებმა ნიუ იორკში გადაინაცვლეს და მედისონ სკვერ გარდენში ნიქსი 104:97 დაამარცხეს.

ქართველ ფორვარდს ორმაგი დუბლების მოპოვება გაუძვირდა. ნიუ იორკში ფაჩულიას დაბლ-დაბლამდე 2-2 ქულა-მოხსნა დააკლდა. ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე მთლიანობაში 32 წუთი იმყოფებოდა. 8-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო – ესაა ქართველი ცენტრის სროლათა სტატისტიკა. საბოლოო ჯამში, ზაზამ 8 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა ისე მოაგროვა, ბურთი არ დაუკარგავს.

როგორც იქნა, დალასი მოსწყდა მემფისს, რომელთანაც ბოლო 1 კვირაა დასავლეთ კონფერენციის მე-4 ადგილს იყოფდა. ფაჩულიას გუნდს 13 მოგებითა და 9 წაგებით ხსენებული ადგილი ერთპიროვნულად უპყრია.

მომდევნო მატჩი მავერიკსს 10 დეკემბერს, შინ ფაჩულიას ყოფილ გუნდ ატლანტასთან ელის.

მ. ჟ.

ახალი ქართული ნატურალური ჯემები თქვენი ოჯახისთვის

„ევროკაპიტალინვესტისგან“

შპს „ევროკაპიტალინვესტი“, საქართველო, 6000 ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №100
ტელ: +995-422-24-71-89; e-meil: infoeci777@gmail.com

წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი 50 ლარი 90-ის ნაცვლად

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი! 45 ლარი 95-ის ნაცვლად

MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად

1.ხმის გამლიერება 50ᲓᲑ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

35 ლარად 65 ლარის უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები

გერმანული წარმოების ელექტროლეიბი.... ეკონომიურია და რაც მთავარია აბსოლუტურად უსაფრთხო.... ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
1) ტემპერატურის მარეგულირებელი 2 სიჩქარე;
2) ზომა 120X160.

მზის სანათი

შეთავაზების აღწერილობა:
– მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;
– აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;
– აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი. შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა, მობილური, აიპოდი და სხვა.

გერმანულ ფერმაში გარეული ტახი ჩასახლდა

გერმანიის ქალაქ ჰამბურგის მახლობლად მდებარე ფერმაში, რომელიც რვა ძროხისგან შედგება, გარეული ტახი ჩასახლდა.

ფერმერმა დირკ რეზემ განაცხადა, რომ ტახი, რომელსაც ბანანი დაარქვეს, უკვე ორ თვეზე მეტია ძროხებს შორის ცხოვრობს. მისი თქმით, გარეული ღორი ფერმაში თავს შესანიშნავად გრძნობს.

– ის სრულიად ჩაეწერა ნახირში. ეს დაუჯერებელია, – განაცხადა გერმანელმა ფერმერმა.

გარეული ტახი ბანანი ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა და შეუძლია იმის შიში აღარ ჰქონდეს, რომ რომელიმე ადგილობრივი მონადირის ნანადირევად იქცევა.

– ამ ღორს განსაკუთრებული სტატუსი აქვს, – აღნიშნა რივზმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საახალწლო აქცია კერძო სახლების მშენებლობაზე დეველოპერული

სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“ 1მ²-300$ ~~350$~~

(სრული თეთრი კარკასი) + ცენტრალური გათბობა საჩუქრად

პრიორიტეტები, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია „ლავა ბიზნესი“:

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის სადაზღვევო გარანტია.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business

იუმორი

•••

წვეულების დროს გოგონა მაგიდაზე ახტა და ცეკვა დაიწყო.

– მაგარი ფეხები აქვს, – ჩაილაპარაკა ერთმა სტუმარმა.

– მართლა მასე ფიქრობ? – ეკითხება გვერდით მდგომი გოგონას შეყვარებული.

– აბა რა, ყველა მაგიდა ხომ ვერ გაუძლებს ასეთ სიმძიმეს.

•••

მანქანების სახელოსნოში ძრავების ხელოსანი კლიენტის მანქანის ძრავს ჩაჰკირკიტებს და თან ესაუბრება:

– ჯიგარო, რა ხელობის ხარ?

– ქირურგი ვარ, გულზე ოპერაციებს ვაკეთებ.

– ვაა, გული ხომ ადამიანის ძრავია?

– დიახ, მასე ითვლება.

– ერთ ოპერაციაში რამდენს გიხდიან?

– ათი ათასს.

– ვაა, ხედავ, ორივე ძრავას ვაკეთებთ, მაგრამ შენ ათი ათასს იღებ, მე კი სამასს.

– გინდა, შენც იმდენი აიღო, რამდენსაც მე ვიღებ?

– რა თქმა უნდა.

კლიენტმა ჯიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო, მერე მანქანა დაქოქა და ეუბნება:

– მიდი, შეაკეთე!

•••

ძველ ნაცნობთან სტუმრად მისული მამაკაცი ჭიშკარზე გაკეთებულ წარწერას კითხულობს:

„ფრთხილად, ეზოში, ავი თუთიყუშია!“

კაცს გაეცინა და კარი შეაღო. ამ დროს თუთიყუშის ხმა ესმის:

– რექს, ეცი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა